გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N14 (9194) 20 მაისი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

3

მიხონმღინახე ხატები

"თუ სულიერად განიკურნები, ფიზიკურადაც განკურნებული ხარ"

"შტატების გაზრდას ვფიქრობ და არა შეკვეცას!"

უბრალო შეცდომა მომივიდა...

ასე უყვარხართ ქალებს, ბატონო ილია?

9

"მთის ნიავის" ღირსეული "ქირისუფალი" მე-11 სკოლაში

8 ბაროკოს სტილი ხელოვანთა დარბაზში

ცხოვრების ახალი წიგნის გადასაფურცლად

მეცხრე ცას შეხედე, სიგიჟე გენვია!

შენთან ერთად გველოდით ბავშვებო!

“შტატების გაზრდას ვფიქრობ და არა შეკვეცას!”

ნინო ნანიტაშვილი

შტატი დამტკიცებულია, თუმცა კონკრეტული პიროვნება, რომელიც ადმინისტრაციულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსის ფუნქციას შეასრულებს, ჯერჯერობით უცნობია.

27 აპრილს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა, კენჭისყრაზე დააყენა და დაამტკიცა ახალი შტატი, რომელიც დღემდე ვაკანტური რჩება. არადა, საკითხის ინიციატორის, მუნიციპალიტეტის გამგებლის მტკიცებით, კოორდინაციის განყოფილების უფროსი ადმინისტრაციას ჰაერივით სჭირდება და მისი აუცილებლობა სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებთან ნაკლები კოორდინაციით არის ნაკარნახევი. მიუხედავად ამისა, ვალერიანე ფოცხვერია არ ჩქარობს, რეალურად არსებულ შტატზე კადრი დანიშნოს. ამბობს, რომ აღნიშნულ პოზიციაზე რამდენიმე კანდიდატი განიხილება.

სამტრედიაში კი ამ დროს არიან ადამიანები, რომლებიც დაბეჯითებით გვიმტკიცებენ, რომ ვალერიანე ფოცხვერია პიროვნებებს შესაბამის სამსახურებს კი არ უფერებს, არამედ სამსახურებს პიროვნებებისთვის ჭქმნის, ან უარეს შემთხვევაში, ცალკეულ საშტატო ერთეულებს ასევე პიროვნებებიდან გამომდინარე აუქმებსო.

გადავხედოთ სტატისტიკას: 2014 წლის ივლისში ადგილობრივ ხელისუფლებაში მოსული გამგებელი კაბინეტში შესვლამდე, პირველივე საკრებულოს სხდომაზე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აუქმებს. ოპოზიციას არწმუნებს იმაში, რომ მის გუნდს და მის გაკეთებულ საქმეს პიარი არ სჭირდება. გადის რამდენიმე თვე და გამგებელი ასევე აუქმებს შესყიდვების სამსახურს და მის ერთ განყოფილებას საფინანსო სამსახურს უქვემდებარებს. მალევე ივი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის შექმნის ინიციატივით საკრებულოს მიმართავს და უმრავლესობის მხარდაჭერასაც იღებს.

მიმდინარე წლის 27 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ვალერიანე ფოცხვერიას აუდიტის სამსახურის გაუქმებაზეც მისცა დასტური. შეესაბამება თუ არა სიმართლეს საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრება, ვალერიანე ფოცხვერია შტატის საჭიროებაზე წინ მისთვის სასურველ პიროვნებებს აყენებსო, ამის დასადგენად “სამტრედიის მაცნემ” მუნიციპალიტეტის გამგებელთან ინტერვიუ ჩაწერა.

_ სამტრედიაში უკვე ხმამაღლა საუბრობენ იმის შესახებ, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობაში ცალკეული სამსახურები იქმნება და უქმდება არა საჭიროებიდან გამომდინარე, არამედ იქიდან გამომდინარე, ვინ არის დასასაქმებელი, ან ვინ სახლში გასაშვებიო.

_ არ ვეთანხმები მაგ კომენტარს. სამსახურები იქმნება და უქმდება საჭიროების მიხედვით. ამ შემთხვევაში ეს არის გამგებლის პრეროგატივა, გამგებლის უფლება არის, კონკრეტული სამსახურის შექმნის და გაუქმების შესახებ საკრებულოში შევიდეს წინადადებით. საკრებულოს შეუძლია, მიიღოს, შეუძლია _ არ მიიღოს. ყოველი შემთხვევისთვის, ამ ეტაპზე ჩავთვალე, არ იყო საჭირო აუდიტის სამსახური. შევედი წინადადებით საკრებულოზე, რომელმაც განიხილა და შემდეგ დაამტკიცა.

_ **მინდა, ყველა თქვენი წინადადების ვირწმუნო, თუმცა, ძალიან საეჭვოდ დაემთხვა აუდიტის სამსახურის გაუქმება კონფლიქტს, რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილია. აუდიტის სამსახურის უფროსი თამარ ჯიბაშვილი თითქმის თვეზე მეტი, პროტესტის ნიშნად არ დადიოდა სამსახურში. მიზეზიც გახმაურდა, მომხდარი კონფლიქტი სამსახურისა და ერთ-ერთი განყოფილების უფროსს შორის. ისიც ითქვა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელს არჩევანი უნდა გაეკეთებინა, ორი კონკრეტული პიროვნებიდან, თუ რომელი შეინარჩუნებდა პოზიციას.**

_ გიმეორებთ, მე ამ ეტაპზე ზედმეტად ჩავთვალე სამსახურის უფროსის პოზიცია. შეიძლება, მომავალში საჭირო გახდეს და ისევ შევალ საკრებულოში შექმნის წინადადებით. უარვყოფ იმას, რომ სამსახურის გაუქმება შიდა კონფლიქტს მოჰყვა, ნებისმიერ სამსახურში შეიძლება ხდებოდეს მსგავსი რამ, ამის გამო არ ყოფილა სამსახურის გაუქმების შესახებ ჩემგან მიღებული გადაწყვეტილება. კიდევ გიმეორებთ _ ამ ეტაპზე ჩავთვალე, რომ აუდიტის სამსახურის არსებობა არ იყო აუცილებელი. ეს სამსახური, იმ ფორმით, როგორც არსებობდა, ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ფუნქციას.

_ **კერძოდ, რას არ ასრულებდა. ალბათ, სჯობდა, დაგვეკონკრეტებინა. ბევრი ქება მომისმენია ყოფილი უფროსის, თამარ ჯიბაშვილის მისამართით. ითქვა, რომ იყო გამოცდილი, კვალიფიციური კადრი. ვერ ასრულებდაო, ეს რას ნიშნავს. ქალბატონი თამარი ხომ წელიწადზე მეტი სამსახურის უფროსის ხელფასს იღებდა...**

_ კი, მაგრამ მე უფრო მეტს ველოდი ამ სამსახურიდან, სიმართლე რომ გითხრათ.

_ **კონკრეტული ამ ერთი პიროვნებიდან?**

_ არა, პიროვნება რა შუაშია, უშუალოდ სამსახურიდან, თანამდებობა გაუქმდა.

_ **რამდენადაც ვიცი, ბატონო ვალერიანე, სამსახურს შეადგენენ უფროსთან ერთად დანარჩენი თანამშრომლებიც. დანარჩენებს რა ბედი ელით. თუ სამსახურის მუშაობას აკრიტიკებთ, ქალბატონი თამარის ბედს მომავალში სხვებიც ხომ არ გაიზიარებენ?**

_ არაფერი არ არის გამორიცხული. გამგეობაში ზოგჯერ იქმნება, ზოგჯერაც უქმდება სამსახურები, განყოფილებები. მათი არსებობა დამოკიდებულია საჭიროებაზე. ზოგ რაიონში არ არსებობდა აუდიტის სამსახური, ზოგში არსებობს. რაც შეეხება განყოფილებებს, ჩვენს მუნიციპალიტეტში ორი მიმართულებაა. ისინი თუ ვერ შეასრულებენ დაკისრებულ ფუნქციას, იგივე გადაწყვეტილებებს მივიღებ იმ განყოფილებების მიმართაც.

_ **სულ ახლახან მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა და დამტკიცა საკითხი გამგეობის აპარატში კიდევ ერთი ახალი შტატის შექმნის თაობაზე. კერძოდ, განყოფილების უფროსი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს გამგებლის წარმომადგენლებს სოფლებში.**

_ დიახ, განყოფილების სახით ჩამოყალიბდა.

_ **რა აუცილებლობამ მოითხოვა ახალი განყოფილების შექმნა, იმან ხომ არა, წინასაარჩევნო პერიოდში რომელიმე კონკრეტული პიროვნება გყავთ დასასაქმებელი, თუ, უბრალოდ, ამის აუცილებლობა დაინახეთ. და დაინახეთ, დაახლოებით, 2 წლის შემდეგ, რაც აღგილობრივ თვითმმართველობაში მოხვედით.**

_ ადმინისტრაციული სამსახური არსებობს ჩვენთან და ახალი განყოფილება მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნება. რთული და შრომატევადი სამსახურია. ჩავთვალოთ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვერ გასწვდა ყველაფერს. ამ მიმართულებით კოორდინაცია გვაკლია სოფლების წარმომადგენლებთან. ამის საჭიროება ნამდვილად დავინახეთ. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.. როგორც გამგებელმა, ჩავთვალე, კოორდინირება ნამდვილად გვაკლია სოფლებში ჩემს წარმომადგენლებთან. თუ გაინტერესებთ, საერთოდ ამ ეტაპზე შტატების გაზრდას ვფიქრობ და არა შეკვეცას.

უბისრო შეცდომა მომივიდა...
ასე ოყჯარნართ ქალებს, ბაცონო ილია?

თეა ბაბუნაშვილი

საკრებულოს წევრ ილია მჟავიას ფეისბუქ პოპულარობის ამბავი უკვე შორს გავარდნილი სიახლეა. სატელევიზიო საუბარში კი გვითხრა, საკმაოდ ვარ ჩაწერილი, დიდი მადლობა, ნუ შეწუდებითო, მაგრამ ინტერვიუზე მაინც დავთანხმდა. რა თქმა უნდა, სიტყვა-სიტყვით ვთავაზობთ მის კომენტარებს.

და აქვე, თუ დარჩა ვინმე, ვინც არ იცის, შევახსენებთ, რომ “ქართული ოცნების “ ყრილობიდან გამოსულმა ილია მჟავიამ, ჟურნალისტის კითხვას რა მოხდა ყრილობაზე, უპასუხა, რომ ზეპირად იცის “ქართული ოცნების” წესდება და რომ პარტიის თავმჯდომარედ ირჩელი ღარიბაშვილი დაინიშნა.

ზედმეტი კომენტარების გარეშე ინტერვიუ ილია მჟავიასთან.

_ ან რისთვის წაბრძანდით და ან რა გაიგეთ, ბატონო ილია, იმ პარტიის ყრილობაზე ასეთი, ინტერნეტვარსკვლავი რომ გახდით? ვინ დანიშნეთ, ხახს ვუსვამ, **დანიშნეთ პარტიის თავმჯდომარედ?**

_ სირცხვილია ასე ლაპარაკი! ინგლისის, ბელგიის, საფრანგეთის, გერმანიის მმართველი პარტიების თავმჯდომარეების გვარები ვიცი და თქვენი აზრით, საქართველოს მმართველი პარტიის თავმჯდომარე ვინ არის, არ ვიცი? ასე მიცნობთ?

_ **აბა, იხუმრეთ ჟურნალისტებთან?**

_ მე პირდაპირ თქმა მიყვარს, მარჩიელი გოგოსავით დამდევდა ის ჟურნალისტი, მოდი, ხელზე გირჩევ, გირჩევ, გირჩევო, რომ იძახიან. სიტყვა შემეშალა და “ნაციონალურმა მოძრაობამ” გამოაბა ამას კუდი, პოლიტიკური დებილიაო. დავუშვათ შემეშალა, მერე რა მოხდა?

_ **თავი მოგვეჭრა, ბატონო ილია, მეტი არაფერი... ეს ერთი და მეორეც, დანიშნეთ პარტიის თავმჯდომარე?**

_ არც ავირჩიეთ და არც დავნიშნეთ, მე მკითხეს, ვინაა პარტიის თავმჯდომარეო და ვთქვი, ღარიბაშვილი-თქო, მიყვარს ის ბიჭი და სიტყვა უნებლიედ შემეშალა. დაინიშნაო არ მითქვამს...

_ **ჩანაწერი არსებობს, ბატონო ილია, რომ დანიშნეთ....**

_ კაცო, მე რა ვთქვი არ ვიცი? დაინიშნა არ მითქვამს! კაი, ბატონო, მე მოგცემთ ახალ ინფორმაციას: ჩიორა თაქთაქიშვილი ინიშნება “ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარედ. ტოლებში ჰყავთ ერთი ნათია ცოტაძე-ადეიშვილიბერია. ის სამტრედიაში პარტიის თავმჯდომარედ...

_ **ეს რა ხუმრობაა, გავავრცელოთ ეს ინფორმაცია თქვენზე დაყრდნობით? ან ადეიშვილი-ბერია რას ნიშნავს...**

_ ის გოგო ტოლებში რომ ზრდიან “ნაციონალები” ცოტაძეა, მაგრამ მე ვეძახი ადეიშვილი-ბერიას. ის მუშაობს ასეთ საკითხებზე მათთან. ასეთი სახეები შექმნეს “ნაციონალებმა” თავის დროზე: თაქთაქიშვილი, ზღულაძე, ხერხეულიძე. ხალხს რომ აწამებდნენ, ისინი უყურებდნენ და იცინოდნენ. ასე ზრდიან მას ტოლებში. სიტყვა შემეშალა, რა მოხდა ასეთი, რომ გავიჟდა მთელი “ნაციონალური მოძრაობა”?! ადამიანურად, შემეშალა და ვამბობ, რომ შემეშალა! კაი, იქნებ წამომცდა “დაინიშნა”, მე არ ვიცი, პარტიის თავმჯდომარე ინიშნება თუ ირჩევა?

_ **აქ, საკრებულოში რა რეაქცია ჰქონდათ ამ კომენტარზე, ბოლოს და ბოლოს საკრებულოს წევრი ბრძანდებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობას წარმოადგენდით იმ ყრილობაზე, არადა, მნიშვნელოვანი რამეები შეგეშალათ, წამოგცდათ... ასე ხდება?**

_ სამარცხვინო მეტი არაფერი გინახავთ და გაგიგიათ ტელევიზიით? მაგდენი არ ვიცი მე? თქვენი აზრი მაინტერესებს...

_ **მე დავწერ ბატონო ილია. “ნაციონალებმა” გიწოდეს “პოლიტიკური დებილი”?**

_ აიტაცეს ეს ვიდეო და ასე გამოდის, რომ მე ვარ შტერი. უფრო მნიშვნელოვანი რა არის იცით? კაცზე, რომელმაც საქართველო და ქართველი ერი გადარჩინა, ბიძინა ივანიშვილზე რომ წერენ ცუდ რაღაცეებს. მე პატარა ვარ პოლიტიკაში. უბრალო შეცდომა მომივიდა _ ვაღიარებ! ამას გამოაბეს კუდი.

_ **თუკი ბიძინა ივანიშვილს თვლით ერის გადამრჩენად, საკრებულოში თავიდან ბურჯანაძე-დემოკრატების კვოტით რატომ იყარეთ კენჭი? “ქართული ოცნების” წევრი ამ პარტიის დატოვების შემდეგ გახდით.**

_ სიმპათიები ყოველთვის მქონდა ამ ადამიანის მიმართ, მაგრამ გარკვეულმა ძალებმა არ ჩამსვეს “ქართული ოცნების” სიაში. თავიდან ვიცოდი, საკრებულოში რომ მოვიდოდი, სად უნდა ვყოფილიყავი.

_ **ასე დარწმუნებით საიდან იცოდით, რომ საკრებულოში მოხვდებოდით? ეს კიდევ ერთი სკანდალური განცხადება...**

_ ნუ, ვიცოდი... ხალხის მხარდაჭერა მქონდა. ახლაც ვიცი, რომ გავიმარჯვებ. წინა არჩევნებზე 170 ხმით მოვუგე “ნაციონალებს”, ახლა 200-ით მოვუგებ. დაწერეთ ეს, ამ არჩევნებს 200 ხმის პლუსით მოვიგებ! ცოტაძეზე და “ნაციონალებზე” არ ვარ დამოკიდებული და სანამ ცოცხალი ვარ, ასე იქნება. დამენიძლავე თუ გინდა! აქვე ვამბობ, ცოტაძე ლანძღვა-გინებით, რასაც “ნაციონალური მოძრაობა” ასწავლის”, ჩემი სურათებით ზურგზე გაკრული რომ დადიოდა და “ყორანს” მეძახდა, ვერაფერს დამაკლებს. სოფლის ავტობუსში ვერ შედის რომ ქალებმა თმებით არ ითრიოს ჩემი ლანძღვა-გინებისთვის.

_ **ასე უყვარხართ ქალებს, ბატონო ილია?**

_ მე ქალებსაც ვუყვარვარ და ყველას ვუყვარვარ!

ქეთევან ქელიძე

მირონმდინარე ხატები

"თუ სულიერად განიკურნები, ფიზიკურადაც განკურნებული ხარ"

"ვხედავ, სინათლის წვრილი სხივი მოდის ჩემკენ. იგი ნელ-ნელა იშლება და იქიდან გამოდის თეთრებში ჩაცმული კაცი, რომელსაც ლურჯი მოსასხამი აქვს მოხვეული. ისე ბრწყინავს, მისი აღწერა შეუძლებელია. ვინ ხარ-თქო, შეშინებულმა ვკითხე. ნუ გეშინია, მე იესო ვარ, რამდენიმე რჩევა უნდა მოგცეო. _ მიპასუხა და თავზე გადამისვა ხელი". _ გვიყვება 12 წლის ნიკა კეკელია თავისი ხილვის შესახებ, რომელიც მან გიორგობის წინა დღეს ნახა.

ნიკა ღანირის საჯარო სკოლის მე-6 კლასში სწავლობს. წარმატებული მოსწავლე ხატვითაც არის გატაცებული და შიდა სასკოლო გამოფენებზეც მონაწილეობს. იგი მეგობრული და ადამიანების მოყვარული, სიცოცხლით სავსე და კარგად აღზრდილი ბავშვია; უფლის რჩეულია, მისი "საყვარელი მოციქული", რომლის სახლშიც რამდენიმე დღეა, ხატებს მირონი გადმოსდის. სოფელ ღანირში, სადაც ის ცხოვრობს, ხალხის ნაკადი არ წყდება. ძე ღმერთის დავალებით პატარა ბიჭი მათ მირონს სცხებს, რომელსაც განკურნების უნარი აქვს. რაგინდ დაუჯერებელიც უნდა იყოს, დავალება, რომელსაც ნიკა სიხარულით ასრულებს, მას თავად იესო ქრისტემ მისცა.

"შენ მე მირწმუნე და მიხილე. ნეტარ არიან ისინი, ვინც ვერ მიხილა და მაინც სწამს ჩემი". _ უთქვამს მისთვის უფალს. და ვინც ვერ იხილა, ეჭვი შეიტანა იმ ყველაფერში, რაც ახლა ღანირში ხდება, პატარა მოციქულის მიმართ უნდობლად განეწყო. შეწყდა თუ არა მირონცხება, ხატებმაც შეწყვიტეს მირონდინება. განახლდა მირონცხების პროცესი და უკვე რამდენიმე ხატზე გადმოვიდა მირონი.

ნიკა კეკელიას არ ახსოვს, ტაძარში პირველად როდის მივიდა. ჯერ კიდევ პატარა, ხელში აყვანილი დაჰყავდათ მშობლებს ჭაგნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში. "თავიდანვე გამორჩეული იყოო, _ ბრძანებს ტაძრის წინამძღოლი აკაკი (ქვანია), _ 3-4 წლისა იძახდა, სტიქარი ჩამაცვითო. მიუხედავად იმისა, რომ მონათლული არ იყო, ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობდა. ისე, რომ არავინ ჩარევია, სახლში მთელ კედელზე, წესისამებრ, თვითონ მიუჩინა ხატებს ადგილი. სასწაულიც სწორედ აქ მოხდა.

აღდგომის მეორე დღეს შენიშნა, რომ ჯერ მაცხოვრის, მერე კი, წმინდა გიორგის ხატებს მირონი გადმოსდიოდა. სასულიერო პირების რჩევით გადაწყდა, ხატები ტაძარში დაებრძანებინათ. ასეც მოხდა. ბავშვის სურვილით გიორგობის მეორე დღეს ხატებს სახლში დააბრუნებდნენ, მით უფრო, რომ მათ მირონის დინება შეწყვიტეს. ნიკაც იმ დღეს მონათლეს და მისი ერთ-ერთი ნათლია თვით მოძღვარი გახდა.

"გიორგობას, შუადღეზე, ტელევიზორთან ვიჯექი და ძილი მომერია. (საერთოდ, შუადღეზე ძილი არ მიყვარს). მამამ მითხრა, მხოლოდ ათი წუთი გეძინაო, მე კი მეგონა, ეს ძალიან დიდხანს გაგრძელდა, რადგან იმდენი სასწაული ვნახე. _ გვიამბობს ნიკა უფლის გამოცხადების შესახებ. _ ისეთი ლამაზი იყო იესო, ენით ვერ აღვწერ. არ ჰგავდა არც ფილმებში მონაწილე პერსონაჟებს და არც ხატში დაწერილს, რაღაც მოცისფრო-მომწვანო თვალები ჰქონდა. რატომ წამაბრძანეთ ტაძარში, მე ხომ შენი ოჯახი ავირჩიეო, _ პირველად ეს მისაყვედურა, მერე კი დამარიგა, ტაძრიდან უკან არ დამაბრუნოთო. შენ არ ინერვიულო, შენთან ისევ მოვალ და დავრჩებიო. შენ ხარ ჭეშმარიტი ქართველი, შენ ხარ ჩემი რჩეული. საქართველოში ბევრია შენნაირი ადამიანი და ამ შესაძლებლობას არ იყენებს. შენ შეგიძლია ადამიანების განკურნება, თუ რწმენით იცხებენ ამ მირონს."

განცდებით დატვირთულმა გაიღვიძა, შვილს დიდხანს ამშვიდებდა კახა კეკელია. შემდეგ ნიკა სახლის მეორე სართულზე ავიდა, ხატებთან სანთლის დასანთებად.

"რომ გამოეღვიძა, ისეთ ემოციებში იყო, შემეშინდა კიდეც, _ გვიყვება ნიკას დედა მარიამ მიქელაძე, _ სანთლის დასანთებად რომ ავიდა, ყვირილი დაიწყო, კიდევ ერთ ხატს გადმოსდის მირონიო, უფლის სიტყვა გაახსენდა: შენ არ ინერვიულო, მე შენთან მოვალ, მთელი ცხოვრება შენთან ვიქნებიო, დიდი მადლია, ძალიან გახარებული ვარ".

ახლა ნიკას სახლში მამა გაბრიელის კიდევ ორ ხატს და წმინდა ნიკოლოზის ხატს გადმოსდის მირონი. ვიდრე ეს წერილი დაიბეჭდება, შესაძლოა, მირონმდინარე ხატების რაოდენობამ იმატოს კიდეც. ადამიანები სასწაულებს ელოდებიან, რამდენიმე უკვე მოხდა. პატარა, რომელსაც ძალიან მაღალი ტემპერატურა ჰქონდა და მედიკამენტებით ვერ შველოდნენ, მირონის ცხებიდან რამდენიმე წუთში გამოჯანმრთელებულმა თავისი ფეხით მიირბინა ნიკასთან; ქალბატონი, რომელსაც სახსრების ტკივილი აწუხებდა და კიბეზე ძლივს ამოიყვანეს, დამოუკიდებლად დაბრუნდა სახლში. საკუთარ ბებიასაც დაუამა ფეხების ტკივილი შვილი-

შვილმა, თანდათან იკურნებაო, გვიდასტურებს ნიკოლოზი.

მთავარი სასწაული უკვე მოხდა _ ხატებს მირონი სდის და მხოლოდ და მხოლოდ უფლის ნებით, ურწმუნონიც მიდიან უფლის მოციქულთან: "წამისვი ერთი, მიშველის თუ არა, ვნახოო, ეუბნებიან, ასე არ უნდა ხდებოდეს, რწმენით უნდა მოდიოდნენ და მხოლოდ მაშინ ეშველებათ." _ გული სწყდება ნიკას.

"პირველ რიგში, სასწაული ხდება იმისთვის, რომ ადამიანები მივიდნენ ტაძარში, _ გვარწმუნებს მამა აკაკი; _ ამ დიდ სასწაულს თვითონ ხედავენ და ვინც ამას ნახავს, ეკლესიური ცხოვრება უნდა დაიწყოს: მარხვა, ლოცვა, ჰყავდეს მოძღვარი.

ბოლო დროს ძალიან გახშირდა მირონდინების ფაქტები. შესაძლოა, ეს იყოს წინასწარმეტყველება იმაზე, რომ ჩვენი ქვეყანა გამთლიანდება და გაბრწყინდება, ან შეიძლება, უარესობის მიმანიშნებელი იყოს _ უფრო დიდ განსაცდელს გვიმზადებდეს ღმერთი და სურს, ყველა გამოფხიზლდეს, ტაძარში მივიდეს. დღეს ეს უფრო გვჭირდება ჩვენ, რადგან ძალიან ცოტა ადამიანი დადის ეკლესიაში. ზოგი სახლში, სამსახურში და სხვაგან და სხვაგან არიან და ტაძარში სიარულისთვის ვერ იცლიან. ჩვენ ძალიან ბევრი განსაცდელის ქვეშ ვიმყოფებით და ერთ-ერთი გადამრჩენი, სულიერად და ფიზიკურად გამომყვანი არის ეკლესია. ზუსტად ეს ურწმუნოება დავაფიქსირე ადამიანებში, დღეს რომ იქ მიდიან. იმიტომ მიდიან ნიკოლოზის სახლში, ნახონ სასწაული და მხოლოდ ფიზიკურად განიკურნონ, არავინ ფიქრობს სულიერ განკურნებაზე. ყველაზე მეტად ეს არის დასანანი. სულიერი განკურნება უფრო გვჭირდება თითოეულ ჩვენგანს. თუ სულიერად განიკურნები, ფიზიკურადაც ხარ განკურნებული. ჩვენ ვიცით ბევრი მაგალითი წმინდანთა ცხოვრებიდან, რომლებიც პატიოსნად ცხოვრობდნენ, როცა განსაცდელი შეექმნებოდათ, მიდიოდნენ ეკლესიაში და აღსარებას ამბობდნენ. სწორედ აღსარებით იკურნებოდნენ ისინი."

აცრები იცავს ბავშვს სახიფათო დაავადებებისაგან

25-29 აპრილს საქართველოში, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, ჩატარდა იმუნიზაციის კვირეული. აღნიშნული კვირეული ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის ორგანიზებული და ყოველწლიურად ტარდება. მისი მიზანია მოსახლეობისთვის იმუნიზაციის მნიშვნელობის შეხსენება, რომელიც დაავადებების ვაქცინაციის გზით თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

მსოფლიოში იმუნიზაციის საშუალებით მილიონობით ბავშვის სიკვდილის პრევენცია ხდება, თუმცა, ამავე დროს, მსოფლიოში ყოველწლიურად 22 მილიონი ბავშვი რჩება გეგმიური აცრების გარეშე. იმუნიზაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში ყველაზე ეფექტურ ინტერვენციას წარმოადგენს. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული ვაქცინები გამოიყენება. აღნიშნული ვაქცინები გამოირჩევა ეფექტურობითა და უსაფრთხოების მაღალი მაჩვენებლით. იშვიათად, იმუნიზაციის შემდეგ, განვითარებული არასასურველი მოვლენები იმდენად უმნიშვნელოა, დაავადებისა და მისგან გამომდინარე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან შედარებით, ვაქცინაციის აუცილებლობა და ეფექტურობა უდავოა. დროულად ჩატარებული აცრები მართვადი დაავადების პროფილაქტიკისთვის საუკეთესო საშუალებაა, აცრები ხელს უწყობს ბავშვის იმუნიტეტის (თავდაცვის უნარის) ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადების მიმართ. მშობელმა უნდა იცოდეს, რატომ, როდის, სად და რამდენჯერ უნდა აიცრას ბავშვი.

ბავშვთა გეგმიური იმუნიზაცია ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად. ვაქცინაციის სქემა დამოკიდებულია ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ და პროგრამულ თავისებურებებზე. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში სახელმწიფო უზრუნველყოფს: ტუბერკულოზის, ბ ჰეპატიტის, დიფთერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, ყბაყურას, წითელა-წითურას, როტა ვირუსული ინფექციის, ჰემოფილუს ინფლუენცია ტიპი "ბ"-ს პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაციას. მინდა მოგაწოდოთ პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი, რათა ყველა მშობელი იყოს ინფორმირებული, რა სქემით ხდება საქართველოში ბავშვთა გეგმიური იმუნიზაცია.

პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი

პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარს აქვს შემდეგი სახე:

ასაკი / ვაქცინა	0-12 საათი	0-5 დღე	2 თვე	3 თვე	4 თვე	12 თვე	18 თვე	5 წელი	14 წელი
B ჰეპატიტი (ჰეპ B/Hep B)	X								
ბცჟ (VCG)		X							
დყტ+ს ჰეპ-ჰიბ+იპვ (ჰექსა/DPaT+HepB+Hib+IPV)			X	X	X				
პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა (პნევმო/PCV)			X	X		X			
როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა (როტა Rota)			X	X					
წითელა,წითურა, ყბაყურა (წწყ/MMR)						X		X	
დიფტერია, ყივანახველა, ტეტანუსი (დყტ/DPT)							X		
პოლიომიელიტის ორალური ვაქცინა (ოპვ/OPV)							X	X	
დიფთერია ტეტანუსი (DT)								X	
ტეტანუს-დიფთერია (TD)									X

მინდა მივმართო მშობლებს, იმუნიზაცია ჩვენი შვილების ჯანმრთელობის გარანტია. ზუსტად დავიცვათ აცრების კალენდარი. ბავშვს სრულყოფილად და რაც მთავარია, დროულად ჩავუტაროთ აცრების კურსი. ამ შემთხვევაში ბავშვი დაცული იქნება იმ ინფექციური დაავადებისაგან, რომლის წინააღმდეგ მას აცრები ჩაუტარდა. ექიმთან ერთი ვიზიტის დროს რამდენიმე აცრა ერთდროულად კეთდება. ეს ხელს უწყობს აცრების კურსის დროულად დამთავრებას, რაც, თავის მხრივ, ზრდის ვაქცინაციის ეფექტურობას. აცრის შემდეგ 1-3 დღის განმავლობაში შეიძლება მოიმატოს სხეულის ტემპერატურამ, ზოგჯერ შეინიშნება ზოგადი აღგზნებადობა, აცრის ადგილის შეწითლება, შეშუპება და მტკივნეულობა _ ეს ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა და მის ჯანსაღ იმუნურ სისტემაზე მეტყველებს. პროგრამული ვაქცინები უფასოა მომხმარებლისთვის, რადგან ამ ვაქცინაციის ღირებულებას სრულად ფარავს სახელმწიფო იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში.

მარინა თევზაძე
საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის დირექტორი

18 მაისი მუზეუმთა საერთაშორისო დღეა!

ღოდსა შინა მდებარე ვარ...

ლევან გაბეჩავა

არ გვეგულება ადამიანი, სასაფლაო _ წინაპართა ძვალთშესალაკი ადგილები მოინახულოს და განუზომელმა სევდამ, მწუხარებამ არ შეიპყროს.

ვინ იცის, რამდენი აუხდენელი ოცნება დარჩათ განუხორციელებელი, რამდენის ცრემლი თან გაიყოლეს იმიერში ამ უტყვი სოფლის ბინადრებმა.

დავდიოდართ საფლავთა შორის და უმალ ვხვდებით ათწლეულების, საუკუნეების მიღმა.

წინათ, ოქტომბრის რევოლუციამდე, ძირითადად, ეკლესია კისრულობდა საფლავთა მოვლას, უფრო სწორად, სოფელთა უმეტეს ნაწილში მოქმედ ეკლესიებთან არსებობდა სასაფლაოები, მერე კი, როცა ეკლესიები უღმერთოებმა დაანგრიეს, გააცამტვერეს, სოფლებში, ქალაქებში ხალხის მიერ ნდობაგამოცხადებულნი სიმბოლური თანხისა და დიდი მონდომების საფასურად უვლიდნენ სასაფლაოებს.

რთულია იყო მესაფლავე, არცთუ დიდი ხნის წინ ჩვენმა კოლეგამ, ქალბატონმა ქეთევან ჭელიძემ შესანიშნავი წერილი უძღვნა საფლავ-მესაფლავეთა პრობლემებს, რეალობას, რაც ამ კუთხით არსებობს და ამა სოფელთა სახელით მოკრძალებაც გამოხატა უდროდ თუ დროულად გარდაცვალებულთა სულებისადმი.

წინასაღდგომო დღეებია, წინაპართა საფლავების მოსაწესრიგებლად ჯვარცმის მინდორზე არსებულ ძველისძველ სასაფლაოს ვეწვიე. როცა საქმეს მოვრჩი, სასაფლაო შემოვიარე და...

უძველეს სასაფლაოზე მრავლადაა ძველისძველი საფლავები, რომელთა უმეტესობა აქაურ თავად მიქელაძეებს ეკუთვნით.

ეზოს შესასვლელთან, მარცხენა მხარეს, შენარჩუნებულია კულაშის საჯარო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებლის, მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს განათლების სისტემის თვალსაჩინო წარმომადგენლის, კონსტანტინე თეოხარის ძე მკურნალის ქალიშვილის საფლავი, შედარებით სიღრმეში უეჭველად შეჩერდებით საფლავთა ორიგინალურობის გამო, აქ გენერალი სიმონ მიქელაძე განსვენებს ოჯახთან ერთად, მის წინ კი თავად მიქელაძეთა ასევე ორიგინალური, დღეს კი, ჩვენის აზრით, სამუზეუმო თუ არა, ყურადღებამისაქცევი საფლავებია...

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ბოლო 20 წელია, ამ სასაფლაოზე, როგორც ბევრგან, ისტორიული საფლავები გაქრა მარტივი მიზეზის გამო _ ძველისძველი ქვები გადაყარეს და შიგ მიცვალებულები დაასაფლავეს.

და მაინც რისი თქმა გვსურს ამჟამად?

ვფიქრობთ, დღეს, როცა სიძველეთა დაცვას ჯეროვანი ყურადღება ეთმობა, არ იქნება ურიგო, თუ ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებულ სასაფლაოებზე მოხდება იშვიათ საფლავთა აღწერა და დაწესდება მათზე მეთვალყურეობა _ რათა არავინ აჰყვეს ცდუნებას და საფლავები არ წაიშალოს. ყოველი წამი, წუთი, საათი, დღე... ხომ მათ ახლებურ დატვირთვას სძენს და საინტერესოს ხდის.

დაბოლოს, ათეული წლების მანძილზე შორეული ჭირისუფლის, თუ დროის მიერ მიძღვნილი მწვანე სურო ფარავდა გენერალ მიქელაძისა და მისი ოჯახის საფლავებს და მარადიულ მწვანეში ამყოფებდა საფლავს. ვიღაც "კეთილგანწყობილს" სურო მოუჭრია და... ნახანძრალსა ჰგავს ახლა საფლავები!

ამ წერილის დაწერის მიზანი სხვა არაფერია, თუ არა თხოვნა, საკითხის დასმა, რომ ძველისძველ საფლავებს, ღია ცის ქვეშ განთავსებულ "მუზეუმთა ექსპონატებს" რომ წარმოადგენენ, გავუფრთხილდეთ, აღვრიცხოთ, თითოეული ხომ მკვლევარ-ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა... ინტერესის საგანიც შეიძლება გახდეს.

მუზეუმთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მივიჩნიეთ საჭიროდ ამ საკითხზე მსჯელობა, ყურადღების გამახვილება.

მუზეუმის მოთქმა-გოდება

(ჩანახატი)

დიდი ენათმეცნიერის, ბატონი აკაკი შანიძის სახელობის პატარა მემორიალური მუზეუმი სოფელ ნოღაში იმ სკოლის მეზობლად მდებარეობს, სადაც მე ვსწავლობ. ბევრჯერ მივსულვარ და მიყურებია ამ პატარა, სევდიანი და საკმაოდ დაზიანებული შენობისთვის. ზოგჯერ ვსაუბრობთ კიდეც. ყოველთვის წუხს თავისი ახლანდელი მდგომარეობის გამო. ნათლად ჩამესმის მისი მოთქმა-გოდება, ბოლო შეხვედრის დროს რომ შემომტირა:

"ბევრი რამის მომსწრე ვარ. მეცნიერის 90 წლის იუბილეზე უამრავი სტუმარი ტრიალებდა ჩემ გარშემო. თმებშეევრცხლილი მეცნიერი ჩემთან შემოვიდა, დიდ, გრძელ სკამლოგინზე ჩამოჯდა და სიყვარულით მოათვალიერა ჩემს კედლებზე ლამაზად გამოფენილი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოექსპოზიცია. მერე ბავშვები შემოვიდნენ ხმაურით და ყვავილები მიართვეს იუბილარს.

ბავშვობის მეგობრებმა იროდი ხუნწარიამ და გერმანე შანიძემ ცოტა ხნით გაიყვანეს ბატონი აკაკი და სახელდახელოდ ამ დღისთვის დაფლული პატარა ქვევრიდან კოპით ღვინო მიართვეს. ქართული ენის დიდმა მოამაგემ დალოცა ზეიმის ყველა მონაწილე, დღეგრძელობა და მზეგრძელობა უსურვა მათ. მერე მომღერლებთან ერთად შეასრულა საყვარელი ხალხური სიმღერა 'გოგო მიდის მოხვეულში".

100 წლის იუბილეს დიდი სიხარულით ელოდა მთელი ქვეყანა. მეც მომრთეს, გამალამაზეს. 1987 წლის 26 თებერვალს თბილისში ფილარმონიაში გაიმართა მხცოვანი მეცნიერის დაბდებიდან 100 წლის იუბილე.

მეც მის მშობლიურ სოფელთან ერთად ველოდი ბატონი აკაკი შანიძის 100 წლის იუბილეს აღნიშვნას, თუმცა ჩვენი მოლოდინი ამაო გამოდგა. ვაი, შენ, ჩემო თავო! ეს რას მოვესწარი! გაზაფხულზე მეცნიერი გარდაიცვალა. მას შემდეგაა სულ ასე სევდიანი რომ ვარ.

მხოლოდ მაშინ გავმხიარულდებოდი ხოლმე, როცა ექსკურსიაზე ჩემს სანახავად მოსული ბავშვები რომ ააზმაურებდნენ ჩემს ეზო-გარემოს. შიშით ვუყურებდი ზოგიერთი ანცი ბავშვი იმ მსხლის ხეზე როგორ აძვრებოდა, რომელიც ჩემ წინ იდგა და იმ ხნისა იყო, რომ, თურმე, ბავშვობაში პატარა აკაკიც ადიოდა მასზე გემრიელი მსხლის დასაგემოვნებლად. ახლა აღარც ის მსხალი დგას ეზოში, ველარ გაუძლო ჩემს უბედურებას და გახმა.

9 წელი მერქვა მემორიალური მუზეუმი და ამ ხნის განმავლობაში მნახველი არ მომკლებია. იმართებოდა კონფერენციები, მეცნიერის დაბადების დღეები, დედაენის ზეიმები. მოდიოდნენ უცხოელი ქართველოლოგები, ტურისტები.

1998 წელს, 27 სექტემბერს, ამაღლების დღესასწაულზე ოფიციალურად გახსნილი, 2006 წლის შემოდგომაზე არაოფიციალურად დამხურეს. _ ვაი, მე უბედურს!

მას შემდეგ იშვიათად თუ ვინმე შემოიხედავს ჩემს ფანჯრებში. _ უი, აქ აღარაფერი ყოფილაო! _ იტყვიან და უკან ბრუნდებიან. 10 წელია, რაც სურათების ექსპოზიციაც გაიტანეს (რა თქმა უნდა, გადარჩენის მიზნით), მას შემდეგ სულ მარტო დავრჩი, მე უბედურ დღეზე დაბადებული. ახლა ჩემი ცარიელი კედლების ღრიჭოებში ქარი უბერავს; სახურავიც დამიზიანდა და წვიმა ჩამომდის; აივანი დაირღვა. ამას წინათ რომელიღაც ტელევიზიიდან მოვიდნენ, დაინტერესდნენ ჩემი მდგომარეობით და ნახეს, რომ დაზიანებული აივნის იატაკიც ჩამტვრეულა და იქიდან თხმელის პატარა ხეს ამოეყო თავი. ერთი სიკვიდლი გავათავე, ეს რომ ოპერატორმა გადაიღო _ ვაი, მე შავ დღეზე გაჩენილს!

ჩემი სოფლის მცხოვრებლებზე და ჩემი მეცნიერის სახელობის მეზობელ სკოლაზე საყვედურს ნამდვილად ვერ ვიტყვი, რადგან ვიცი, რომ რამდენჯერმე მოაგროვეს ხელმოწერები და თხოვნა მუზეუმის შეკეთებისა და გახსნის თაობაზე. სხვადასხვა ინსტანციაშიც მიიტანეს, მაგრამ შედეგი არა და არ ჩანს. _ მე კი, ...მე, ალბათ, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია! ერთი ძლიერი ქარბუქი და... აღვიგვები პირისაგან მიწისა. მე, უბედური!

მინდა ხმამაღლა ვიყვირო: _ მიშველეთ! მომეხმარეთ! შემაკეთეთ! ფეხზე დამაყენეთ! თუ უკეთესის აშენების თავი აღარ გაქვთ, ფუნქცია მაინც დამიბრუნეთ და ამამოქმედეთ!

მომავალ წელს ხომ ბატონ აკაკი შანიძეს დაბადებიდან 130 წელი უსრულდება. თუ ეს ჩემი მოთქმა-გოდება ვინმემ გულთან მიიტანა, მკვდრეთით აღმადგინა, ისევ დაუბრუნდება ამ ჩემს კედლებს ხალისი და განწყობა.

ჩემო პატარა მეგობარო, მადლობელი ვარ, სასიხარულო ამბავი რომ მომიტანე. არ მეგონა ამ მდგომარეობაში თუ რაიმე გამახარებდა _ ჩემი მეცნიერის სახელი ოფეთსა და თხილაგანს შორის მდებარე ერთ უსახელო მწვერვალს დარქმევია! _ დიდება შენდა, ღმერთო! აკაკი შანიძის სახელი მეცნიერების მწვერვალს მისწვდა, მე კი... მე, ეს უსახური და უბადრუკი, პატარა შენობა ვერაფერს ვაკეთებ მისი დიდებისათვის.

კიდევ ერთხელ გიხდი მადლობას, ჩემო გოგონა, შენ მაინც რომ მოდიხარ ჩემთან სასაუბროდ. შენ რომ დაგინახავ, იმედი არ მტოვებს, რომ უკეთესობისაკენ შეიცვლება ჩემი საქმე. შემდეგ მოსვლაზე შენი თანატოლებიც მოიყვანე და გამაცანი. ვიცი, მათაც აწუხებთ ჩემი ახლანდელი მდგომარეობა. იქნებ თქვენმა თაობამ მაინც ივარგოს და, ჩემისთანა უბადრუკი კი არა, მწვერვალზე ასული მეცნიერის სახელს რომ ეკადრება, ისეთი თანამედროვე მუზეუმი აჩუქოთ ჩვენს სამაყო, სასიქადულო მეცნიერს. აბა თქვენ იცით!

გთხოვ, კვლავ შემომიარე, როცა დროს იპოვი.

ნეტავ, არ დამჭირდებოდეს შენთან მომავალ შეხვედრაზე ჩემს უბედურებაზე მოთქმა-გოდება, ნეტავ!"

_ კარგად იყავი, _ დავემშვიდობე ჩემს გულდათუთქულ მეგობარს, _ შემდეგ მოსვლაზე იქნებ კარგი ამბავიც მოგიტანო, ვინ იცის, ღმერთი იყოს შენი მფარველი!

ნინო შანიძე
აკაკი შანიძის სახელობის
ნოღის საჯარო სკოლის მე-9
კლასის მოსწავლე

25 წლის წინ საქართველოში პირველი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა

უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენებით იყო დახუნძლული გასული საუკუნის ბოლო ათწლეულები.

1989 წლის 9 აპრილს, თბილისში, მთავრობის სახლის წინ, საბჭოთა საჯარისო ნაწილების მიერ მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევამ, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა, ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას საქართველოში.

9 აპრილი და სულთმობრძავი საბჭოეთის რესპუბლიკებში განვითარებული მსგავსი მოვლენები გახდა საბჭოეთის დასასრულის დასაწყისი.

ვითომდა განახლებული, თუმცა, ლენინური "დერჟავული" პოლიტიკის ერთგული საბჭოთა მთავრობა, პოლიტბიურო ვერ თმობდა პოზიციებს.

აშკარა იყო, რომ წინამორბედებისაგან განსხვავებით ვითომ დემოკრატი მიხეილ გორბაჩოვი და საბჭოეთის ლიდერები არა მარტო ჩიხში, არამედ შოკშიც აღმოჩნდნენ "ძმურ კავშირში" განვითარებული მოვლენების გამო.

"სამტრედიის მაცნეს" მეშვეობით მკითხველს ცოტა ხნის წინ მოვაგონეთ 25 წლის წინ საქართველოში ჩატარებული საერთოსახალხო გამოკითხვის _ რეფერენდუმის მნიშვნელობა.

რეფერენდუმს შედეგად საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის პოლიტიკური აქტის მიღებაც მოჰყვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი, მეტიც, ქართველი ხალხისა და ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 25 წლის წინ საქართველოს ისტორიაში პირველ საპრეზიდენტო არჩევნებს, ლოგიკური შედეგით რომ დასრულდა.

მაშინ, ერთ მუშტად შეკრულმა საქართველოს მოსახლეობამ გონივრული გადაწყვეტილება მიიღო და დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი და თვალსაჩინო წარმომადგენელი, ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია აირჩია.

აღსანიშნავია საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებიც, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ამომრჩეველთა ხმების 86,52% მიიღო.

დრო მიდის.

ამჟამინდელი პრეზიდენტი ბატონი გიორგი მარგველაშვილი დამოუკიდებელი საქართველოს რიგით მეოთხე პრეზიდენტია.

საზოგადოებაში, რაგინდ უცნაურიც უნდა იყოს, პოლიტიკურ სპექტრშიც ხშირად საუბრობენ, მსჯელობენ პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებზე, სტატუსზე...

სიტყვა "პრეზიდენტი" ლათინურია და "წინას", "თავში მჯდომს" ნიშნავს.

რესპუბლიკური მმართველობის ქვეყნებში პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაური და უმაღლესი წარმომადგენელია საერთაშორისო ასპარეზზე, რომელიც გარკვეული ვადითაა არჩეული.

საპარლამენტო მმართველობის ქვეყნებში კი პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს.

საპრეზიდენტო ქვეყნებში პრეზიდენტს ირჩევენ პირდაპირი ან არაპირდაპირი არჩევნების გზით.

ყველაზე მეტი უფლებით საპრეზიდენტო ქვეყნებში არჩეული პრეზიდენტები სარგებლობენ, რადგანაც ისინი აერთიანებენ, ითავსებენ სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის ლიდერის ფუნქციებს. მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტის ხელშია აღმასრულებელი ხელისუფლება: ნიშნავს მთავრობას, არის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარე.

სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა ვადით განსაზღვრავენ პრეზიდენტის უფლებამოსილებას, მაგალითად: შვეიცარია _ 1 წლით, ნაურუ _ 3 წლით, აშშ, გვატემალა, ისლანდია, ეკვადორი, კოსტარიკა, კორეა _ 4 წლით,

ინდოეთი, ბრაზილია, ინდონეზია _ 5 წლით, ფინეთი, მექსიკა, ავსტრია _ 6 წლით, საფრანგეთი, ისლანდია, იტალია, თურქეთი _ 7 წლით.

დღეისათვის დაახლოებით 130-მდე ქვეყანას სახელმწიფოს პრეზიდენტი მეთაურობს.

საოცარი იყო, როცა, არცთუ დიდი ხნის წინ, ჩვენს ქვეყანაშიც განსჯის საგანი გახდა უფლება-მოვალეობათა გამიჯვნა პრეზიდენტსა და პრემიერს შორის, თუმცა, უფლის წყალობით ამ ეტაპზე ყველაფერი დარეგულირდა.

დაბოლოს, 25 წელი გავიდა საქართველოში პირველი საპრეზიდენტო არჩევნებიდან.

ლევან გაბეჩავა

"26 წელი თუ ითმენდით, ეხთი წელიც მოგვითმინეთ"

ნინო ნანიტაშვილი

ხმაური იყო 16 მაისს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში. ამირან ბახტაძის ქუჩის მოსახლეობა ადგილობრივ თვითმმართველობას გულგრილ დამოკიდებულებაში ადანაშაულებდა. 50-მდე მოქალაქე ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულის ფოიეში შეიკრიბა, მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეხვედრა მოითხოვა. მათი მტკიცებით, პოლიტიკურ პარტიებს ხალხი მხოლოდ არჩევნების პერიოდში ახსოვს და დაპირებებს უხვად გასცემს, რომლის შესრულებაზეც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თავს აღარ იწუხებენ.

ამირან ბახტაძის ქუჩის მოსახლეობა თვლის, რომ ამ კუთხით გამონაკლისები არც ისინი არიან. უფრო მეტიც, სამტრედიის მთავრობა მაღალმთიან სოფლებს გაცილებით ხშირად სტუმრობს და ზრუნავს იქაურ ინფრასტრუქტურაზე, ვიდრე ქალაქის ცენტრიდან 5 კილომეტრით დაშორებულ ნაჩხატაურის დასახლებაზე.

"ჩინელებს და ინდოელებს უფრო მეტ პატივს სცემენ სამტრედიაში, ვიდრე ნაჩხატაურელებს. არჩევნებამდე დანგრეული გზა აგვიტალახეს, აგვირჩიეთ, გზასაც გაგიკეთებთ და სამსახურებშიც მოგაწყობთო. მეტი არ იქნა შენი მტერი, მოჯდნენ სკამებზე და ნაჩხატაურელები ვიღას ახსოვს. გაკეთების მაგივრად დანგრევა დაიწყეს და კანალიზაციის ძველი მილით ვიღაც-ვიღაცეებმა გამდიდრება მოინდომეს. მოგვეშველეთ-თქო, მივმართეთ მთავრობას და არ მოგიკვდა პატრონი! ჩვენსკენ არც გამოუხედავთ. გამგებელმა, გაგებაში არ ვარ, რა ხდებაო. ისევ მოსახლეობამ ივარგა: რამდენიმე მეტრის გათხრა მოასწრეს. კუდით ქვა ვასროლინეთ იმ ხალხს, მილის ამოღებას რომ აპირებდნენ. ვუცადეთ, ან ახლა მოვა ჩვენამდე ადგილობრივი ხელისუფლება, ან ახლათქო. რომ არ მოგვეკარნენ, დღეს მთელი უბანი წამოვედით გამგეობაში. საინტერესოა, რა პასუხს გაგვცემენ!" _ ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე გამგებელთან შეხვედრამდე გელა ნადირაძე ასე ემოციურად ესაუბრებოდა ყველა იმ საჯარო მოხელეს, ვინც ამირან ბახტაძის ქუჩელების დაშოშმინებას ცდილობდა.

ნებართვის მიღების შემდეგ მე-4 სართულზე, სააქტო დარბაზში გაღიზიანებულმა მოსახლეობამ ადგილები დაიკავა. მალე მათთან სასაუბროდ ვალერიანე ფოცხვერია მოადგილეებთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან ერთად გამოვიდა.

შეხვედრის დასაწყისი საკმაოდ დაძაბული გამოდგა. განაწყენებული მოსახლეობა შიგდაშიგ შეურაცხყოფასაც არ ერიდებოდა, რაზეც შენიშვნები მიიღეს, უფრო კორექტულები ყოფილიყვნენ.

"მშვიდად როგორ გესაუბროთ. დღეს ჩვენს ქუჩაში ორსართულიანი სახლი დაიწვა. 10 წუთში მოსასვლელი სახანძროს მანქანა ერთი საათი მოდიოდა. თანამედროვე ტელეფონი რომ მქონოდა, გადავიღებდი და საქვეყნოდ გავავრცელებდი, თუ როგორი ხტუნვა-ხტუნვით მოდიოდა ჩვენს დანგრეულ გზაზე. 26 წლის წინ დაგებულ გზას პატრონი არ გამოუჩნდა, ორმოები მაინც რომ ამოევსოთ. სასწრაფოს მანქანა ცოცხალს ვერ უსწრებს, თუ მოგვისწრო და პირველადი დახმარება გაუწია, ექიმი ავადმყოფის პატრონს ეხვეწება, საავადმყოფოში გაგვატანეთ, რომ გაუჭირდეს რამე, მეორედ ამ გზაზე წამომსვლელები არ ვართო". _ განაცხადა იური პატარაიანეთში გამგებლის წარმომადგენლის ინფორმაციამ ორშაბათის ტრადიციული თათბირის მონაწილეებში ღიმილი გამოიწვია. ვაჟა კორხეიძის თქმით, ყველას ფართობი დახნულია, მისი პირადი ზე მუნიციპალიტეტის გამგებელი, დაახლოებით, ნახევარი საათის განმავლობაში ისმენდა.

"ვისაც სურვილი არა აქვს, დახნას, მხოლოდ ისინი არიან დარჩენილები". _ ითქვა გომში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის მხრიდან. ზაზა ნიკოლეიშვილის ინფორმაციით საგაზაფხულო სამუშაოები გომის თემში წარმატებით შესრულდა.

საგაზაფხულო სამუშაოები სრულდება

ნინო ნანიტაშვილი

როგორ მიდის ხვნის პროცესი სამტრედიაში? ამ კითხვაზე პასუხს 16 მაისს, ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე მიწის გარდა.

გამგებლის შენიშვნაზე, საქმე უკუღმა დავიწყიაო, იანეთის თავკაცმა ასეთი კომენტარი შეაგება: "სხვაგვარად არ შეიძლებოდა. ჯერ ჩემი სოფლელები უნდა დამეკმაყოფილებინა და საკუთარ ფართობზე მერე მეზრუნა. დახვნის გარეშე არც ჩემს მიწას დავტოვებ".

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა ჯერ მუნიციპალიტეტის გამგებელს, შემდეგ კი მის წარმომადგენლებს სოფლებში ხუთშაბათს, 19 მაისს ქუთაისიდან სოციალური სააგენტოს უფროსის, ზაზა გაბუნიას მოსალოდნელი ვიზიტი შეუთანხმა: "სოციალურ სააგენტოს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს. აპირებენ რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გასვლას. 19 მაისს სამტრედიაში სტუმრობას გეგმავენ. სასურველია, რომ ზაზა გაბუნიასთან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღოთ ყველა თქვენგანმა, ასევე, თქვენი სოფლების ექიმებმა და ექთნებმა. მოგეცემათ საშუალება, პრობლემურ საკითხებზე შეკითხვები დასვათ და კომპეტენტური პასუხები მიიღოთ. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იქნება. გამოიკვეთება პრიორიტეტები, რათა მოსახლეობისათვის მიწოდებული იქნეს ის სერვისი, რასაც სოფლის ექიმის პროგრამა ითვალისწინებს".

პოზიტივი გამოიწვია საჯავახოს თემში გამგებლის წარმომადგენლის განცხადებამ. შავლეგ თარგამაძე ამაყია იმით, რომ ვიცე-პრემიერის, სამტრედიელი კახა კალაძის დანაპირები რეალურად სრულდება:

"სოფელ ნიგორზღვაში ერთი ოჯახის გამო, დაახლოებით, ორ კილომეტრზე გზის შეყვანის სამუშაოები მიმდინარეობს, რითაც დასტურდება ვიცე-პრემიერის, ბატონი კახი კალაძის დანაპირები, რომ ერთი ოჯახიც, თუნდაც სოფლიდან მოშორებული არ დარჩება გზის გარეშე."

"ეს ხალხი სიმინდით სუნთქავს, გზა გადაგვიჭრეს, ხიდი კი არ გაგვიკეთეს; ვიცით, რომ ავტობანის მშენებლობას შეეწირა ჩვენი ყანებამდე მისასვლელი გზა. მაგრამ იმ ხალხს თქვენ უნდა უთხრათ, დროებითი ხიდი გაუკეთეთო. მოსახლეობის კეთილდღეობა ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესს უნდა წარმოადგენდეს. ყანას ვერ ვხნავთ, მოსავალი ვერ გამოგვაქვს. 14 კილომეტრი მონაკვეთის დამატებით გავლა გვიხდება ფართობებში მისასვლელად. ხარჯები გვეზრდება. უმუშევარ ხალხს მთავრობა, პირიქით, ხარჯებს უნდა გვიმცირებდეს. რასაც დაპირდებით ხალხს, გაუკეთეთ, რასაც არ დაპირებიხართ, იმის შესრულებას კაცი არ მოგთხოვთ".

შეხვედრაში მონაწილე ერთ-ერთი ქალბატონის მახვილ თვალს იმ დღეს არ გამოპარვია სააქტო დარბაზში გაჩერებული საათის არსებობა. ქუჩის პრობლემებით გაღიზიანებულმა იზა ცხვარაძემ ადმინისტრაციული შენობის მესვეურთ პირში მიახალა: "ესენი რა გზის გამკეთებლები არიან, ელემენტი ვერ უყიდიათ და ძველი ვერ გამოუცვლიათ, ზუსტი დრო რომ გაიგონო".

ყველა კუთხიდან შეძახილების ფონზე ვალერიანე ფოცხვერია შეეცადა, მოსახლეობისთვის კონკრეტულ კითხვებზე პასუხი გაეცა. მუნიციპალიტეტის გამგებელი კმაყოფილი ჩანდა იმის გამო, ამირან ბახტაძის ქუჩელები მასთან გზის და ხიდის პრობლემებზე სასაუბროდ რომ იყვნენ მისულები და არა ჯანდაცვისა და განათლების თემებზე: "ცუდად თუ არ გამიგებთ, გეტყვით, მიხარია, გზის რემონტს რომ მთხოვთ და არა ოპერაციის დაფინანსებას.

12 წელი უმუშევარი ვიყავი და გული მისკდებოდა. დედაჩემი ავად რომ ხდებოდა. დღეს ეს პრობლემა აღარ არსებობს. აღარც სკოლებში შვილების სწავლის გეშინიათ. ჯანდაცვა და უფასო სახელმძღვანელობები სახელმწიფოს ცოტა კი არ უჯდება. ამიტომ გვიანდება გზის და ხიდების მშენებლობა. მინდა, გითხრათ, დღეს აქ რომ არ მოსულიყავით, ამ საქმეების მოგვარებას ისედაც ვაპირებდით. მეორე წელია, გამგებელი ვარ, დაიწვა ის დღე, გამგებლად რომ მოვედი. შარშან ეწრელები მსაყვედურობდნენ, შენს ქუჩაში ვერ დაგივია გზა და სხვაგან რას იზამო. რომ მომკლათ, დამახრჩოთ და ჩამომკიდოთ, ერთი ხელის მოსმით გზას ვერ დავაგებ. წელს 20 კილომეტრი კეთდება, ვიღაცას უწევს ადრე, ვიღაცას გვიან. გზა მთაშიც უნდა გქონდეს და ბარშიც.

გპირდებით, სამტრედიაში უგზოდ არც ერთი ქუჩა არ დარჩება. ასე მოხდება თქვენთანაც. ამირან ბახტაძის ქუჩაზე წელს 900 მეტრი გზა დაიგება. რაც შეეხება ავტობანთან დაკავშირებულ პრობლემას, მაქსიმალურად შევეცდებით, დავარწმუნოთ მშენებლები და დროებითი ხიდი გავაკეთებინოთ. რასაც შეეძლებთ, ჩვენ გავაკეთებთ. რასაც ვერა _ ცენტრალურ ხელისუფლებას მოვთხოვთ.

10 ლარით 1000 ლარის საქმეს ვერ გავაკეთებთ. თქვით, 26 წელია, ჩვენს ქუჩაზე არაფერი გაკეთებულაო. 26 წელი თუ ითმენდით, ერთი წელიც მოგვითმინეთ".

ნაჩხატაურის უბნის მოსახლეობასთან შეხვედრას ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილეც ესწრებოდა. მეზობლების რეაქცია დავით ბახტაძისათვის განსაკუთრებით სენსიტიური უნდა ყოფილიყო, რადგან ეს ქუჩა სწორედ მისი მამის, აწ გარდაცვლილი ამირან ბახტაძის სახელს ატარებს. ვალერიანე ფოცხვერიასთან ერთად თანაუბნელებს ისიც დაჰპირდა, რაც ადგილობრივი ძალების შესაძლებლობას გადააჭარბებს, იმას კონკრეტულ სამინისტროებს სთხოვენ და ქუჩის ინფრასტრუქტურის გაკეთილშობილებაში დაეხმარებიან.

ცხოვრების ახალი წიგნის გასალაფყრცლად

ნათია ნაცვლიშვილი

იმ დღიდან, თეთრსაყელოიანი, ციცქნა გოგო-ბიჭები სკოლის ჭიოს გაზაფხულის სიოსაგან ძირს დაფანტული ატმისა და ტყემლის ყვავილებივით რომ შემოეფინნენ, ცხოვრების კრიალოსანზე 12 ლამაზი წელი ჩამოიმარცვლა. ახლა უკვე მეთორმეტეკლასელი, მოწიფული გოგო-ბიჭები მადლობას ეუბნებიან აღმზრდელებს მათზე გაწეული შრომის, მათთვის გაზიარებული ცოდნის, ნიჭის, დედობრივთან და მამობრივთან მიახლოებული მზრუნველობისათვის, გაღებული სიყვარულის წილ სიყვარულს უბრუნებენ. მასწავლებლები უკვე მერამდენედ იცრემლებიან, მოსწავლეების თვალებზეც სკოლასთან განშორების ცრემლი ბრწყინავს. "სამტრედიის მაცნე" ამჯერად მე-12 საჯარო სკოლის გამოსაშვებ ზეიმს აშუქებს. შოთა პაპავას, ჩვენი უმცროსი კოლეგის კლასი სკოლის კარს გამოიხურავს და დიდი სივრცეების დასალაშქრად შეეშზადება. ახალგაზრდული ემოცია, ენერგია, ცხოვრებასთან ზომიერი ჯანყი, მიულწეველის მიღწევის ფინი, ვერ მიღწეულის ვნებით შეპყრობა _ ყველაფერი ჩამდგარა ამ ახალგაზრდების თვალებში.

კლასის დამრიგებელმა მაია გიორგაძემ, რომელსაც ამ ბავშვებთან 4 წლიანი ურთიერთობა აკავშირებს, კიდევ ერთხელ და უკვე ბოლოჯერ ამოიკითხა 30-ივე მოსწავლის სია. მერე მხიარული სკეტჩები... ამა თუ იმ პედაგოგისათვის დამახასიათებელმა ქცევამ, ჩვევამ, სამეტყველო ლექსიკამ ბოლო ზარის ზეიმზე გადმოინაცვლა. შესანიშნავად ასახიერებდნენ მოსწავლეები პედაგოგებს. "მარილმჟავას ფორმულა დამიწერე!" ნინო ონიანის ხმაზე ბრძანებს თინა გაგუა. მოსწავლეობის შემდეგ გატკბილდება ყველა მარილმჟავა, ყველა მიღებული დაბალი ქულა, ყველა შატალო... სიამოვნებით უსმენენ მოსწავლეებს მათ მიერ "განსახიერებული" პედაგოგები.

წამყვანები შოთა პაპავა და ქეთევან ბანძავა არიან, მოსწავლეებმა ყველა პედაგოგს "ნომინაციები" მიანიჭეს და სამახსოვროდ გადასცეს ფერად ფურცლებზე დაბეჭდილი ეს სახუმარო ნომინაციები. "თუმცა მე-12-ედ ვიწოდებით, ეჭვი არავის ეპარება, ერთ-ერთი პირველთაგანი ვართ ქალაქის მასშტაბით. თუ საუკუნეზეა გათვლილი შენი გეგმები, აღზარდე ადამიანი, ამბობს ბრძენი, ჩვენი პედაგოგების გეგმები საუკუნეებზეა გათვლილი, 12 წელი გავიდა, ემოციებით დახუნძლული, კიდევ ბევრი თორმეტი ჩამოიმარცვლება ჩვენს კრიალოსანზე, მაგრამ ალბათ ასეთი არც ერთი იქნება". _ გვიმხელენ ემოციებს მოსწავლეები.

თბილად მიესალმნენ მათ დამრიგებლები, ნანა გოგია და მაია გიორგაძე. პოეტურები უფრო გოგონები არიან, ლექსებიც მარიამ ჩხაიძემ, ანი ადეიშვილმა და ლონდა გერაძემ წაიკითხეს. ლიკა ჭელიძემ უცხოური სიმღერით აგვიმაღლა განწყობა, ფანდურზე ქართული ფოლკლორის მარგალიტები მონიკა ჯანელიძემ წარმოადგინა. ლამაზი დუეტი შემოგვთავაზეს ბექა სულაქველიძემ და ლევან ჩიკვაიძემ. განსაკუთრებულად დარბაზი მასწავლებელთა შესახებ ლექსად დაწერილმა ხუმრობებმა გაახალისა, თითეული მასწავლებელი, ვისთანაც კი მეთერთმეტეკლასელებს შეხება ჰქონიათ ოდესმე, საოცრად ლამაზი ლექსით დაჯილდოვდა. ამ ლექსების ავტორი შოთა პაპავაა.

ისევ გაიელვა მოსწავლეთა პირველი კლასის ფოტოების კადრებმა. შესანიშნავი იუმორისტული მონოლოგით წარსდგა დარბაზის წინაშე დავით ფხაკაძე. ფერადი ბავშვობა განსაკუთრებულად მწვავედ ასტკივდათ მხიარულ გოგო-ბიჭებს, ამქვეყნიდან ნაადრევად წასული ალექსი ორჯონიკიძის სახელი რომ ახსენეს. მოსწავლეებს გზა დაულოცეს პირველმა მასწავლებლებმა ინეზა ბაღდავაძემ, ნატალია ადეიშვილმა, ნანა გოგიამ, მაია გიორგაძემ, ლია დოლიძემ, სკოლის სასწავლო ნაწილი ხათუნა კოსტავაც დედობრივი სიყვარულით დაემშვიდობა მეთორმეტეკლასელებს და სკოლის დირექტორის, ხათუნა თელიას მოკითხვა გადასცა და სიყვარული კიდევ ერთხელ დაუდასტურა. ქალბატონი ხათუნა გამარჯვებული პროექტის ფარგლებში ავსტრიაში იმყოფება. ხათუნა კოსტავამ უწოდა.

ბოლოს მოსწავლეებმა ნაცნობი მუსიკის ფონზე ლამაზად ჩავლილი სკოლის დღეები კიდევ ერთხელ "გარეპეს". საყოველთაო მხიარულება ფეიერვერკებით დასრულდა.

"ამ 4 წლის განმავლობაში უამრავი ლამაზი მოგონება, ბედნიერი წუთი გვაკავშირებს, გვიყვარხართ გვეიმედებით, მუდამ დალოცვილები ყოფილიყავით". _ მაია გიორგაძემ მოსწავლეები ამ სიტყვებით გააცილა.

ჩვენი გაზეთის პასუხისმგებელმა მდივანმა, ლევან გაბეჩავამ, შესანიშნავი მისიის შესრულება მომანდო, წამეკითხა მისალმება მისი სახელით. "პირველი შემთხვევაა გაზეთის ისტორიაში, როცა სკოლას ამთავრებს ახალგაზრდა, რომელიც უკვე 2 წელია რედაქციის შტატიანი თანამშრომელია და ღირსეული სახელი მოიხვეჭა დროის ამ მცირე მონაკვეთში. საამაყოა ეს ყოველივე შოთა პაპავას ოჯახისათვის, მისი აღმზრდელი სკოლისათვის, თითოეული პედაგოგისათვის, გმადლობთ თქვენ, შეგიძლიათ იამაყოთ ამით. წარმატებებს ვუსურვებ შოთა პაპავას, მის კლასელებს, უფალი გფარავდეთ!"

მეცხრე ცას შეხედე, სიგიჟე გეწვია!

თეა ბაბუნაშვილი

მაისმა ისევ დარეკა სასწავლო წლის დასრულების ზარი. უცებ გაფრენილ 12 წელიწადს ბავშვობასთან გამოთხოვების ტკბილ-მწარე სევდით ეთხოვება კიდევ ერთი თაობა. ისინიც მათ შორის არიან, დიდი იმედებით და აღმაფრენით სავსე. უკვე სხვაგვარია ყუნრსმიჩვეული ზარის წკრიალი, ისეთი როგორიც მაშინ, როცა პირველად გაიგონეს მისი ხმა. დიდფანჯრიანი ეს შენობა იმდენად მშობლიური გამხდარა, როგორც საკუთარი კერა. და ეს ყველაფერი თვალსა და ხელს შუა, თვალის დახამხამებაში გასულ 12 წელიწადში, უცებ გაფრენილ ბავშვობაში.

"მეცხრე ცას შეხედე, სიგიჟე გეწვია!", "მუდამ გვემახსოვრება ეს 17 მაისი!" და ისევ სკოლის დასრულების სიხარული, ვინ მოსთვლის, მერამდენე თაობისთვის 1893 წელს დაარსებულ სკოლაში.

თავიდან ვაჟთა გიმნაზია ყოფილა, დღეს ქალაქის მე-10 საჯაროა, სკოლა, კადრების სამჭედლოდ რომ იცნობენ სამტრედიაში; სხვა სკოლების მსგავსად, სიყვარულით რომ ზრდიან თაობებს და მერე მშობლიური სითბოთი აცილებენ დიდი ცხოვრების ფართო შარაგზაზე.

იყვნენ ლაღები, ისეთები, ამ წუთებს რომ სჩვევია. შებინდებულზე, სკოლის უჩვეულოდ მორთულ ეზოში ღია ცის ქვეშ გადმოიტანეს საკლასო ოთახი. ბავშვური ყიჟინით შემოვიდნენ განსაკუთრებულები, განსხვავებულები. ემოციურად დატვირთული ეს დღე, მათ მიერ მომზადებულმა სანახაობამ კიდევ უფრო სენტიმენტალური გახადა.

კლასი აჩვენეს, დიახ, კლასი აჩვენეს ცეკვასა და სიმღერაში. ეტყობოდათ, სიტყვაც უჭრიდათ, იუმორიც ეადვილებოდათ. ეს არ გახლდათ წინასწარ დაგეგმილი და დიდხანს ნავარჯიშებ-ნარეპეტიციები საღამო. იყო ხალასი, სპონტანური იუმორისტული ნომრებით გაჯერებული სანახაობა, სკოლის სინამდვილეზე აგებული. მათ ხუმრობას არ აკლდა ტაქტი და მოკრძალება, რისი ნაკლებობაც ხშირ შემთხვევაში შესამჩნევია ამგვარ საღამოებზე. ჰქონდათ განსხვავებული ნომერიც, ძალიან შთამბეჭდავი იყო პედაგოგებზე მიძღვნილი საკუთარი ლექსები, კუბიკებად აწყობილი მათი სურათების თანხლებით. ისინი ყველა ერთად "გადასკოჩეს", და ამგვარი "სტენდის" მეორე მხარეს თავისთავად აიწყო დამრიგებლის, სოფო ნუცუბიძის პორტრეტი. თორმეტწლიანი დარდისგან ატესტატები შეგვრჩაო, ხუმრობდნენ. ფიზიკის გაკვეთილის იმიტაციისას იქვე მჯდომი პედაგოგის რეპლიკამ _ "ვაი თქვენ, ახლა" კიდევ უფრო გაამხიარულა სტუმრები და თავად მოსწავლეები. კულმინაცია იყო, მათემატიკის მასწავლებელს მანქანა "გარაჟიდან" ქვეშმიწერით რომ გამოყავს, დირექტორს კი სულაც დაქოქვა ავიწყდება მოძრაობის დაწყებისას. აღიარეს, ადვილი არ იყო ისეთ კლასთან ურთიერთობა, როგორიც ჩვენ ვართო და იქვე შთაგონებით წაიკითხეს, თუ როგორი ესახებოდათ სამშობლოს ხვალე _ "უთხარით მოჩხუბრებს დაუშვან მუშტები, მოჰყევით იმდენად სულელი ამბები, რომ სულმა სხეულში ზეიმი გამართოს."

დამრიგებელი ცალკე სასაუბრო თემა გახლავთ იმ დასამახსოვრებელი ღონისძიებიდან. საკუთარ მოსწავლეებთან ერთად ცეკვა-სიმღერა რომ მოახერხა, ეს კიდევ არაფერი, როგორც გაირკვა, ამ სანახაობის მთავარი რეჟისორი იგი თავად გახლდათ. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდულ შემართებასთან ერთად არც ახალგაზრდულად, უფრო სწორად, მისი მოსწავლეების შეხედულებების შესატყვისად აზროვნება აკლდა მეათე სკოლელთა გამოსაშვებ საღამოს. დამრიგებლის სიურპრიზი, რაშიც მას ჯერ ისევ მეთერთმეტე კლასში მყოფი მომავალი მეთორმეტე დაეხმარა, მართლაც განსაკუთრებული იყო. და კიდევ ერთი, დაუგეგმავი, თუმცა, ყველაზე საუკეთესო, გაბედული ნომერი საუკეთესოთა შორის _ საქვეყნოდ, სახალხოდ, გზნებით, ლექსით და ვარდებით ახსნილი სიყვარული! პირველი სიყვარული, სკოლის კედლებში დაბადებული, მერხზე მიწერილი x+y _ ასე, სწორედ ასე უყვარს ელგუჯას მარიამო და ოვაციები არა მხოლოდ ბავშვების, ყველასი, მასწავლებლების, მშობლების.

ჯიგარიაო, ჩვენი სკოლის დირექტორი _ ასე თამარ თევზაძე შეაფასეს მოსწავლეებმა. მან კი სკოლის დამთავრება ასე მიულოცა აღსაზრდელებს: "გიყურებთ და გული სიხარულით მევსება. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ მათ აღზრდა-ჩამოყალიბებაში ჩემი კოლეგების უდიდესი წვლილია, რა თქმა უნდა, თავიანთ მშობლებთან ერთად. მეათე საჯაროს, ყოფილ მეცამეტეს კადრების სამჭედლოს უწოდებენ და ეს გრძელდება, იმდენად კარგი ახალგაზრდა პედაგოგები შეიძინა სკოლამ. მათ თამამად შეგვიძლია ჩავაბაროთ ჩვენი მომავალი. მე მჯერა ჩემო გოგო-ბიჭებო, რომ თქვენ ღირსეული ცვლა იქნებით ჩვენი ქვეყნისა და არ დაივიწყებთ ვისი გორისა ხართ.

ღონისძიების სტუმარმა, ამ სკოლის კურსდამთავრებულმა, შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორმა ბეჟან გოგიამ აღნიშნა: "მოგესალმებით ჩემო პატარა მეგობრებო, პედაგოგებო. საუკეთესო სურვილებით გილოცავთ თქვენი ცხოვრების მომდევნო ეტაპზე გადასვლას. წარმატებებს გისურვებთ. მე მიყვარს ეს სკოლა, მიყვარს აქაურობა, აქ ჩემი ბავშვობის ბედნიერმა დღეებმა გაიარა. განსაკუთრებულია ახლა ჩემი განცდები. გზას გილოცავთ ბავშვებო, გაიხარეთ."

უკვე კურსდამთავრებულებს სამოქალაქო განათლების პედაგოგი ეკატერინე ფოცხვერია მიესალმა: "მე მჯერა, რომ თქვენ იქნებით თაობა, რომელიც გაუმჯობესებს ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ დღეს, სწორად ჩამოაყალიბებს სამოქალაქო საზოგადოებას. თქვენ უნდა იყოთ ის ამომრჩეველი, რომელსაც ქვეყნის ბედი აბარია." მან სამოქალაქო კლუბის სახელით სახსოვრად ქუდები გადასცა მოსწავლეებს.

მერე ფეიერვერკი, ათასფრად ანთებული ზეცით და დიდი აღმაფრენით გახხივოსნებული. ასე მეათე სკოლელებმა აღნიშნეს სკოლის დამთავრება, ბოლოჯერ დარეკილ ზარის წკრიალს ხმა შეუწყვეს და ვაჟკაცობით, რწმენით, სიკეთით, მეგობრობით ადამიანების პატივისცემით უკვალავი გზების გაკვალვის პირობა დაუდეს მშობლიურად ქცეულ განათლების ამ უძველეს კერას.

თავიდაშვილი რუსო
ზაქარეიშვილი თეონა
აკოფოვა ნუკა
ჯანელიძე ქეთი
ტაბიძე მარიამი
თევზაძე ნათია
ულრელიძე ქრისტინე
ჯინჭველეიშვილი მარი
ნიკურაძე ელგუჯა
თევზაძე კარლო
მეგენეიშვილი როინი
წუჭუა გიორგი
ჩაჩუა პაატა
ჭანტურიძე ნიკა
წენდაძე ოთარი
ორმოცაძე თენგო
არველაძე ბექა
კაცაძე ალეკო
კორძაძე რეზო
ესვანჯია ამირანი

მეთორმეტე პირველი – „ვიკინგები" – ყველაზე მაგარია!

თეა ბაბუნაშვილი

მზესთან ერთად გევლოთ ლამაზებო!

თუკი სილამაზე სამყაროს გადაარჩენს, ეს დედამიწა გადარჩენილია! დიახ, დიდი ამბიციებით, რადგან მეთერთმეტე საჯარო სკოლის მეთორმეტე პირველზე ვსაუბრობთ, ანუ კლასზე, სადაც ყველა ძალიან ლამაზია, ხალასია, გულწრფელია, ჭკვიანია, ნიჭიერია. სრულყოფილებისთვის ამ ჩამონათვალს ერთიც აკლია და... ცოტა ზარმაცია, თუმცა ბეჯითობითაც იჩენენ თავს. უფრო სწორად, იჩენდნენ, რადგან უკან მოტოვებული თორმეტი წელი ბავშვობის დასასრულად ეთხოვება სკოლის კედლებს და მეხსიერებაში ცხოვრების საუკეთესო კადრებად ინახავს უდარდელობის, პირველი სიყვარულის, მერხებს მიბარებული ანცობის, „შატალოს", წიგნებში თავჩარგული დღეების, სიზარმაცის და მერე გამოცდებზე ბაგაბუგით ახმაურებული გულის ტკბილ მოგონებებს.

ვარდობისთვე უკანასკნელ დღეებს ითვლის. და ეს ნიშნავს, რომ კიდევ ერთი თაობა დგება ქვეყნის, მშობლიური სკოლის ხვალინდელი დღის სადარაჯოზე. ფართო შარაგზებით მიდის და მოდის მომავალი. აგურზე დასადები აგური სიმაღლეს მატებს ცხოვრების ზღუდეს. ხვალე კიდევ და კიდევ უკეთესი უნდა გათენდეს, რადგან ამიერიდან მათიც იქნება ამ ქვეყნის ვალი. მისი ჭირისუფლობის ტკბილ-მწარე მოვალეობას წინა თაობებივით მხარში შეუდგებიან საზიდავად. სხვანაირად არ შეიძლება, რადგან ასწავლეს, რადგან იციან, რომ საკუთარი ცხოვრება თავად უნდა იცხოვრონ სახელოვნად.

იმ დღეს მათი იყო ზეცაც და მიწაც. იმ დღეს მარადისობის სიყვარული, სიკეთისა და ბედნიერების კვალში დგომა იწყებოდა. სკოლის ეზო უჩვეულოდ მორთეს და საკუთარი ცეცხლოვანი ხასიათი იმ სანახაობაშიც ჩადეს, რომლითაც საკლასო ოთახებს, მერხებს, საყვარელ მასწავლებლებს გამოემშვიდობნენ. განსაუთრებული იყო ეს სანახაობა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან მათ თორმეტი წლის წინ, პირველ კლასში ზოია მასწავლებელმა შეაგება თბილი ღიმილი. სწორედ ზოია დოლიძეს ანდეს ისინი მშობლებმა დედური სითბოს გასანაწილებლად. მერე ციცინო ფრანგიშვილმა მშობლიურ ენასა და ლიტერატურასთან ერთად ბევრი ასწავლა და მეორე დედობა გაუწია. შემდეგ ნანა მანჯგალაძემ არაერთი ფათერაკიანი, ურჩი და ღიმილიანი დღე გაატარა მათ დამრიგებლად. მათი კლასისთვის ზედგამოჭრილი მეტსახელის _ „ვიკინგები" _ საავტორო უფლება სწორედ ნანა მასწავლებლისაა და ფრთიან ფრაზებს შორის ყველაზე ფრთიანი ფრაზაც მისია _ „ვიკინგებზე ვიკინგო". ამტკიცებს კიდეც: „არ არსებობენ ვიკინგები ორი ან სამი, ვიკინგები მხოლოდ მეთორმეტე პირველია, რადგან ისინი განუმეორებლები არიან!"

კლასში, რომელშიც თითქმის ყველა მოსწავლე მღერის და ცეკვავს, არ გასჭირვებიათ განსაკუთრებული მუსიკალური ნომრების დადგმა. სკოლის ცხოვრება, გაკვეთილების სინამდვილე იუმორისტული სკეტჩებით მოიგონეს. არც სხვა სპეცეფექტები დაუკლიათ თანამედროვედ მომზადებული „ბოლო ზარისთვის". ის კლიპი კი, რომელშიც მთელი კლასი ერთად მღეროდა, მათ სავიზიტო ბარათად და გამორჩეულ ნომრად კარგა ხანს დარჩება არა მარტო პედაგოგების, სკოლის სხვა კლასების მოსწავლეების, დამსწრე საზოგადოების მეხსიერებაში. აქვე ისიც, რომ მათმა პრომომ, რომლითაც სკოლის გამოსაშვებ ღონისძიებაზე სტუმრებს იწვევდნენ, ამ კლიპთან ერთად, ინტერნეტ სივრცეში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ეროვნული და ლათინო-ამერიკული ცეკვებით, ხალხური საკრავებითა თუ ბაბთიანი გიტარით შესრულებული ნომრებით გაჯერებული სანახაობა ღია ცის ქვეშ ათასფერი ფეიერვერკით დაასრულეს. საკუთარი მისწრაფებებივით მკვეთრი ფერებით ააჭრელეს წამი ღონისძიების ფინალად.

გრანდიოზულ საბანკეტო საღამოზე უკვე სხვა ელფერი დაჰკრავდათ. თვალს მართლაც ვერ მოსწყვეტდით ვერც ერთ მათგანს, ვაჟკაცობისთვის, ყმაწვილქალობისთვის შეღერებულებს. განსაკუთრებული ჯენტლმენობით გამოირჩეოდნენ ვაჟები, შხაპუნა წვიმაში ხელში აყვანილი რომ ჩამოიყვანეს გამოპრანჭული გოგონები ბაგრატის ტაძრიდან. იქ კი წმინდა ხატებთან ყველამ ერთად ღირსეული ქართველობის პირობა დადო. ერთმანეთის ბავშვური სიყვარული მათ ყველა ჟესტს, გამოხედვას, ღიმილს ეტყობოდა. ბედნიერებით გაბრწყინებული სახეებით ეგებებოდნენ ჯერ კიდევ ახლახან მათთვის დაწყებულ იდუმალებას. 12 წელია ერთად მოვდივართ და წუთისოფელს ერთად გავთელავთო, სჯეროდათ.

საკუთარ კრეატიულობას სხვისიც შეაშველეს. ამავე სკოლის გასული წლის კურსდამთავრებული ზიკო ჯინჭარაძე და გიორგი მელქაძე თავისი გამოცდილებით დაეხმარნენ მათ.

გზა ბევრმა დაულოცათ. გულწრფელი იყო ყველა სიტყვა, სიყვარულით გამთბარი, კეთილი სურვილებით გაჯერებული. მათი პირველკლასელობის მოგონებებით დალოცა ისინი პირველმა მასწავლებელმა. „ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ ბავშვებო, ჩემო გასაკუთრებულო პირველკლასელებო! მინდა ჯანმრთელები იყოთ, ბედნიერები იყოთ, რადგან ბედნიერი ვიყავი მეც, როცა თქვენ გასწავლიდით!" _ მოეფერა უკვე დაფრთიანებულებს ზოია დოლიძე. ათასჯერ ნათქვამი კიდევ ერთხელ გაუმეორა თავის „ვიკინგებს" ნანა მანჯგალაძემ: „ათასმეერთედ გიმეორებთ ათასჯერ ნათქვამს, გახსოვდეთ ბავშვებო, „ხის სიმაღლე მიწიდან კი არ იზომება, არამედ ფესვებიდან. თქვენს სამშობლოში თქვენი ოჯახის დესპანები ხართ, სამშობლოს გარეთ კი თქვენი სამშობლოსი. გახსოვდეთ, ადამიანი ფასდება თავისი ღირებულებებით. იყავით თავისუფლები, მაგრამ ჩარჩოში." ამ უკვე გაზეპირებულ მის დარიგებას, ყოფილი სადამრიგებლო ნანა მასწავლებელთან ერთად იმეორებდა.

მერე როგორც თავად აღნიშნეს, ყველაზე მაგარი სკოლის ყველაზე მაგარ დირექტორს, ლენა ხაჟალიას გადასცეს სიტყვა: „ცხოვრება ადვილი არ არის ბავშვებო. რთულია მასში ღირსება შეინარჩუნო. ეს კარგად სწავლაზე მთავარია და მე გისურვებთ ღირსეულები ყოფილიყავით. ჩვენი სკოლის სლოგანია, კარგ ადამიანებად აღვზარდოთ ჩვენი მოსწავლეები. იმედია, ამჯერადაც გავამართლებთ მას და თქვენი სახით ქვეყანას საამაყო ცვლა ეყოლება." დედური მზრუნველობა არც ამჯერად აკლდა კლასის დამრიგებლის, ციცინო ფრანგიშვილის ბოლო დარიგებას: „ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ ბავშვებო. ახლა მაგონდება ის დღე, პირველად რომ გაგიცანით. მაშინ პატარები იყავით. ეს იყო მეხუთე კლასში. ახლა დაფრთიანებულები, კრეატიულები ხართ, გისურვებთ შემდგარი, წარმატებული ადამიანები გახდეთ, მყარად დაიკავოთ თქვენი ადგილი ცხოვრებაში. დღეს ვარდისფერია სამყარო თქვენთვის. ღმერთმა ინებოს, ასე იყოს მუდამ. თუმცა, თუ წაიფორხილებთ ღირსეულად წამოდგომა უნდა შესძლოთ. თქვენია ცხოვრების ჰორიზონტები, იფრინეთ, აშენეთ!"

გზა დაულოცა კურსდამთავრებულებს ამ სკოლის ყოფილმა მოსწავლემ, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა თინათინ ხარძიანმა: „მეამაყება, რომ ამ სკოლის კურსდამთავრებული ვარ. ასევე უნდა გეამაყებოდეთ თქვენ და ეს საკუთარი კარგი მამულიშვილობით უნდა გაამართლოთ." წარმატებები უსურვა მათ საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელმა ელიზა ცხვირავაშვილმა: „გაიხარეთ და მშობლები, ყოფილი პედაგოგები გაახარეთ ბავშვებო. მინდა გვეიმედებოდეთ. საუკეთესო სურვილებით გილოცავთ გზას."

კეთილი სურვილები არც სხვადასხვა საგნების პედაგოგებმა დააკლეს. ყველა მათგანი, ვისაც კი შეხება ჰქონია, ან არც ჰქონია მეთორმეტე პირველთან, იმ დღეს მათზე ემოციებით საუბრობდა.

და აქვე მშობლები, კუთხეში ერთად თავმოყრილი მამების შეფარული მზერა და თვალზე ცრემლმომდგარი დედები, უცებ გაფრენილ წლებზე, სწრაფად გაზრდილებზე, მათ მომავალზე ალაპარაკებულ-დაფიქრებულები, თუმცა დღეს ბედნიერები, გაცისკროვნებულები და ამაყები. იმ დღეს განსაკუთრებით თბილი იყო შვილების დაძახებული „დედა" და კიდევ უფრო თბილი პასუხი _ „ჰო, დედა!"

ზედმეტი ემოციურობა, სენტიმენტები და ცოტა გადამეტებული ქება ამ წერილს აპატიეთ, რადგან იგი დედის დაწერილი წერილია, არა მხოლოდ ერთის ამ კლასიდან, ყველას რომ უნდა გაუნაწილოს მშობლიური სითბო, ყველას გააწვდინოს სიყვარული. ყველანი ერთად განსაკუთრებით ჩემები არიან, ჩემი შვილის პირველი მეგობრები, ბავშვობის მეგობრები, ყველაზე ალალები და წლების შემდეგაც ყველაზე ერთგულები. ისინი მართლა ლამაზები არიან, საამაყოები, საიმედოები. იმ სკოლის კედლებში, იმ დღეს რომ კიდევ ერთი თაობის დაფრთიანებას ზეიმობდა, 24 წლის წინ, კიდევ ერთი კლასი გაიზარდა. ახლა ამ კლასის მშობლებია რამდენიმე იმათგანი, თანაკლასელებია მათი შვილებიც. ამიტომაც განსაკუთრებულია ავტორის ემოციები.

და ათას კეთილ სურვილს ათასმეერთეს ვამატებ _ მზესთან ერთად გევლოთ მზესავით ლამაზებო!

კიდევ ბევრი, კიდევ ბევრჯერ დაირეკება მე-11 საჯარო სკოლაში ზარი, სიმბოლურად „ბოლო ზარი" რომ დაარქვა, ვინ იცის, ვინ. კიდევ ბევრი თაობა ითხოვს _ „გზა დაგვილოცეთ", რათა შემდეგ თავად გახდნენ სხვების გზის დამლოცავი. სასწავლო წელი ისევ დასრულდა გულწრფელი სიყვარულით და იმის მონატრებით, რაც იყო და რაც უკვე ტკბილად მოსაგონარ ბავშვობაში დარჩა.



ახვლედიანი გიორგი
ახვლედიანი თეკლა
ბახტაძე ირაკლი
ბიბილეიშვილი ელენე
ბოჩუა ლანა
ბალათურია გიორგი
გეგუჩაძე ბესო
გოგია ელისო
ვაშაკიძე მერაბი
თადუმაძე ნინო
თევზაძე ნინო
კიკვაძე ლიკა
კოპალეიშვილი გიორგი
კუტალაძე ავთო
კუტალაძე ნინო
ლეკვეიშვილი ანა
მეფარიშვილი ჯემკა
მოსკალიუკი მაკა
მხეიძე გიორგი
პაპავა ჯუბა
რუხაძე მიშიკო
სიხარულიძე ზურაბი
სტურუა სალომე
ფირცხალაიშვილი ჯუბა
ქორიძე რუსო
ღურბელეიშვილი გვანცა
შანიძე თიკო
ჩაჩუა სოსო
ჩქარეული ბექა
ხუჭუა რეზო

ბაროკოს სტილი ხელოვანთა დარბაზში

თეა ბაბუნაშვილი

იშვიათი ბედნიერი გამონაკლისის წყალობით, სამტრედიის ხელოვანთა დარბაზი ღირსეულ კულტურულ სანახაობებს მასპინძლობს. განსაკუთრებული გახლდათ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის _ საქართველოს სიმფონიადას სტუმრობა სამტრედიაში. ხელოვანთა დარბაზში გამართული ბაროკოს სტილის მუსიკის საღამო, კლასიკურ მუსიკაზე შეყვარებული მსმენელისთვის მოულოდნელი დიდი საჩუქარი იყო. გერმანელი პროფესორის, კრისტოფ მაიერის დირიჟორობით გამართული საღამო, რომელზეც ბახი, ტელემანი, ჟღერდა, პატარა პროვინციული ქალაქისთვის დიდი საჩუქარი გახლდათ.

მათთვის, ვინც მუსიკალურ ხელოვნებაში მეტად, ან ძალიან ჩახედულია, უფრო გასაგები იყო მოკლე განმარტებები კლასიკური მუსიკის თვალსაზრისით. სალექციო კურსივით ჩატარებული ამგვარი საუბარი დარბაზში მსხდარი მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა. "ბაროკოს სტილის მუსიკის შესრულება ჩვეულებრივი ინსტრუმენტებით შეცდომაა" _ მუსიკოსების ამ აღიარებაზე და კიდევ სხვა არაერთ საკითხზე საინტერესოდ ისაუბრა კამერული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი ქერელაშვილმა. ამიტომ, როგორც მან აღნიშნა, ინსტრუმენტები, რომლითაც იმ დღეს უკრავდნენ, განსაკუთრებული და იშვიათი გახლდათ. ყურადღება რამდენიმე იშვიათმა ინსტრუმენტმა მიიქცია. ისინი საკმაოდ ძვირადღირებული, საქართველოში იშვიათი ინსტრუმენტებია. "ამგვარი ინსტრუმენტები საშუალებას იძლევა, უფრო ზუსტად შევასრულოთ ის, რაც იმ დროის, ამ მიმდევრობის მუსიკოსებს თავში, გულში ჰქონდათ. საქართველოში ძალიან ცოტაა ორკესტრი, რომელიც ორივე ინსტრუმენტზე უკრავს. ერთი შეხედვით, ვიოლინოა ორივე _ ესეც და ისიც, მაგრამ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული. ეს პროფესიონალებისთვის უფრო მისახვედრია. ჩვენ კი უკვე სამი წელია, იმ დროის ავთენტური ინსტრუმენტებით ვასრულებთ ამ ნაწარმოებებს. ეს სხვა მანერა, სხვა შტრიხებია."

ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი საუბრობს იმაზე, რომ რეგიონებში კონცერტების გამართვა მათთვის თავიდანვე პრიორიტეტი იყო. "სიმფონიური ორკესტრის გადაადგილება უფრო რთულია და ძვირადღირებულიც. ამ დარბაზში ვერც დაეტიოს იქნებ. კამერულ ორკესტრებს ამის შესაძლებლობა უფრო აქვთ." _ აღნიშნა მან. პროექტის ფარგლებში, რომელსაც ამჯერად ახორციელებენ, დასავლეთ საქართველოში 6 კონცერტი უნდა გაიმართოს. ქუთაისის შემდეგ ბოლო, მეექვსე საღამო სწორედ სამტრედიაში გამართეს. რაც შეეხება მიზანს, "სამწუხაროდ, პერიფერიები, რეგიონები ძალიან მოკლებულია კლასიკური მუსიკის მოსმენას. ზოგიერთ ქალაქში გვითხრეს, რომ ასეთი კონცერტები 30 წელია, არ გამართულაო. ვაკვირდებით პუბლიკას. სხვათა შორის, სამტრედიული დარბაზი სწორად და კარგად რეაგირებდა, კარგი მსმენელით გამოირჩეოდა. ისეთ მდგომარეობაშია ხალხი, ხშირად არც მოდიან კონცერტებზე. ეს არა მარტო ეკონომიური მდგომარეობით, განათლების პრობლემითაც არის გამოწვეული. სამწუხაროა, რომ ბევრ ქალაქში დაიკარგა მსმენელი, რომელიც იყო, რასაც ვერ ვიტყვით სამტრედიაზე. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, თელავში ყოველთვის რაღაც ხდება, ამიტომ ვცდილობთ, მოვიცვათ რეგიონები." როგორც გაირკვა, გეზი მაღალმთიანი რეგიონებისკენ აქვთ აღებული. კლასიკური მუსიკის საღამოები იქაც გაიმართება. როგორც გიორგი ქერელაშვილი ამბობს, იქ კიდევ უფრო სპეციფიური იქნება ეს კონცერტები. შარშან კი 6 კონცერტი აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაიმართა.

ამჯერად ორკესტრში სამი უცხოელი მუსიკოსი უკრავდა. რუსი, ბაქოელი და ფრანგი სტუმრები. არადა, თურმე, ყოფილა შემთხვევა, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში 12 ეროვნების მუსიკოსითაც გასულან სცენაზე. რაც შეეხება დირიჟორს, კრისტოფ მაიერი ძველი, ბაროკოს სტილის მუსიკის უძლიერესი სპეციალისტია. მას 4 წელია მეგობრული ურთიერთობა აქვს ორკესტრთან. იგი კოლნის კაპელის დირიჟორი და კონცერტმაისტერია.

როგორც გაირკვა, რამდენიმე დღეში ორკესტრი, პირველად საქართველოში, დისკზე ჩაწერს ტელემანის რამდენიმე სუიტას. ტელემანის სუიტების მხოლოდ რამდენიმე ჩანაწერი არსებობს.

22 ნოემბერს გერმანული ბაროკოს ფესტივალზე, რომელიც თბილისში გაიმართება, ბახისა და მისი შვილების ნაწარმოებები შესრულდება. ამ ფესტივალისთვის საქართველოში არაერთი კლასიკური მუსიკის კორიფე შემსრულებელი ჩამოვა.

რაც შეეხება რეგიონებს, სურვილი მსგავსი შეხვედრების სიხშირისა, გათვალისწინებული იქნებაო, კამერული ორკესტრის ხელმძღვანელმა.

"რა მუსიკას უსმენ, იმით განისაზღვრება როგორ იქცევი და როგორ ქვეყანაში ცხოვრობ." _ გიორგი ქერელაშვილის ეს სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მსგავსი საღამოები ხშირად უნდა გაიმართოს არა მხოლოდ ისეთ ქალაქებში, სადაც ბევრი ხდება, პირველ რიგში იქ, სადაც არაფერი ხდება!

სიმღერით შენახული ქართული სამოსი და სამოსით შენახული ქართული სიმღერა

იტალიაში, შვედეთში, ბულგარეთში, ყაზახეთში, ომანში, საბერძნეთსა და მრავალ სხვა ქვეყანაში ეროვნული სამოსის დღე აღინიშნება. საქართველოშიც გამოთქვა აზრი რამდენიმე ორგანიზაციამ, დაწესდეს ეროვნული სამოსის დღე. ამ განზრახვას შემდეგი მოტივით ხსნიდნენ: "საქართველო, როგორც უძველესი ტრადიციების, ფოლკლორისა და ისტორიის მქონე ქვეყანა, სასურველია აღნიშნავდეს მას. ეს ღონისძიება ქვეყანას საშუალებას მისცემს, ეროვნული ტრადიციები და ღირებულებები მსოფლიო ასპარეზზე გაიტანოს. ეს გააღვივებს ინტერესს საქართველოსადმი და მომავალი თაობის ფოლკლორული და კულტურული ტრადიციების გაგრძელებაში დაეხმა-

რება. ამ დღეს საქართველოსა და სხვა ქვეყნის მოქალაქეებს საშუალება ექნებათ იხილონ ქართული ეროვნული კოსტიუმები, ძველი საბრძოლო იარაღები, წარმოდგენილი იქნება ქართული ფოლკლორი, ასევე დააგემოვნებენ ეროვნულ სამზარეულოს".

ჩვენს მუნიციპალიტეტშიც აღინიშნა ქართული ეროვნული სამოსის დღე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორული ანსამბლის "დილილმე" წევრი გოგონები მარიამ ნემსაძე, ანა კვეტენაძე, მარიამ შანიძე, ლალი ლეჟავა, მარიამ ლეჟავა და ნინო შანიძე მომავლის პარეში გამოვიდნენ და აქცია მოაწყვეს. "ეს დღე წელს პირველად აღინიშნება, იგი უწმინდესმა აკურთხა და ძალიან გვიხარია, გადავწყვიტეთ, ხალხს ვაცნობოთ, რომ ეს არის ძალიან საამაყო დღესასწაული. ჩვენთვის ჩვეულებრივი მოვლენაა ეროვნული სამოსის ტარება". _ გვითხრა მარიამ ნემსაძემ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა პარლამენტის კურატორი, ელიკო ანკვაბი: "ახალგაზრდების ეს ინიციატივა ძალიან მომწონს, ისინი ამბობენ "არაფერი გვიშლის ხელს, ვიყოთ თინეიჯერებიც და პატივი ვცეთ ეროვნულ სამოსს"-ო. რაც ძალიან მიხარია, ეროვნულ სამოსს, ალბათ, მართლაც სჭირდება დემონსტრირება კარგი იქნება, ყოველდღიურობაშიც თუ შევა რაიმე დეტალები ეროვნული სამოსიდან".

ანსამბლ "დილილმეს" ხელმძღვანელი მერი ტკვაცირია, თავის მოსწავლეებთან ერთად არაერთხელ წარმდგარა სცენაზე ეროვნული სამოსით. საქმე, რომელიც ის ემსახურება, ქართული ფოლკლორი თავისთავად ითხოვს ამ სამოსით შემოსვას.

"მიხარია, კი არა, ბედნიერი ვარ, რომ ასეთი თაობა გვეზრდება, მჯერა, ეს თაობა შეინახავს ქართულ სამოსს და ქართულ სიმღერას". _ აღნიშნა ქალბატონმა მერიმ ჩვენთან საუბარში.

ნათია ნაცვლიშვილი

პოეზიის საღამო "ახალგაზრდა კონსერვატორთა" ეგიდით

ნათია ნაცვლიშვილი

საქართველოს "კონსერვატიული პარტიის" სამტრედიის ორგანიზაცია არაერთი საინტერესო პროექტის ინიციატორია. პარტიის ახალგაზრდული ფრთის ინიციატივით პოეზიის საღამო გაიმართა, რომელშიც ახალგაზრდა პოეტები მონაწილეობდნენ. ქუთაისიდან მარიამ ჩახვაძე, ანა ფუტკარაძე, ბესარიონ ჩანქსელიანი, ნუკი მაღლაკელიძე, წყალტუბოდან _ თორნიკე ჯანხოთელი და დავით კინწურაშვილი გვესტუმრნენ. მათ სამტრედიელები _ ნუკი ჩხაიძე და ნორა მანჯგალაძეც შეუერთდნენ. ხელოვანთა დარბაზმა ამ ახალგაზრდების ემოციების, განცდების, გრძნობებისა და პოეტურ წარმოსახვათა დიდი ნაკადი დაიტია. ლექსის კითხვის თანამედროვე მანერით, პოეტური სითამამითა და გულწრფელობით გამოირჩეოდნენ პოეტები. საღამო საქველმოქმედო ხასიათის იყო. როგორც "ახალგაზრდა კონსერვატორებმა" და საღამოს წამყვანებმა, ქეთი აბრამიშვილმა და ბაჩო ნადირაძემ განაცხადეს, შემოსული თანხა 4 წლის ნიკოლოზ ჯანელიძეს გადაეცემა, რომელიც სიმსივნის მძიმე სენს ებრძვის.

შეხვედრის დაწყებამდე კომენტარი ვთხოვეთ "კონსერვატიული პარტიის" იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგურს:

"ეს ღონისძიება "კონსერვატიული პარტიის" ახალგაზრდული ფრთის მოწყობილია. შარშან მსგავსი აქცია "მომავლის პარკში" მოეწყო, წელს კი დარბაზში გავმართეთ. ეს ახალგაზრდები ქუთაისიდან გვეწვივნენ, ახალგაზრდული ფრთის წევრებს ამ პოეტებთან ახლო ურთიერთობა აქვთ. ჩვენი ამ ღონისძიების დამსწრენი იქნებიან ძალიან კმაყოფილნი. არაერთ საინტერესო აქციას ვგეგმავთ, როგორც ხელოვნების და კულტურის დარგში, ისე სოციალურ პროექტებსაც განვახორციელებთ, გპირდებით".

აუდიტორიაში არა მარტო პარტიული ნიშნით შეკრებილნი იყვნენ. საღამოს ესწრებოდნენ გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი, კულტურის განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის უფროსი ბეჟან გეგეშიძე. ძირითად აუდიტორიას ახალგაზრდები შეადგენდნენ.

ნათია ნაცვლიშვილი

"მთის ნიავის" ლიხსეული "ჭიჩისუფალი" მე-11 სკოლაში

ნათია ნაცვლიშვილი

"ზომ დაიცალე, ძმაო სისხლიდან, ძველი მესხეთის გამოსახსნელად!" _ გოგლამ ეს სიტყვები მეგობრის, ნაადრევად ჩამქრალი პოეტური ნიჭის, სამწერლო ასპარეზზე "მთის ნიავის" ფსევდონიმით გამოსული გრიგოლ მეგრელიშვილის ხსოვნას უძღვნა. ეს 19 წლის პოეტი ახალციხის ბრძოლებში, სოფელ უდესთან თურქი ასკერების ტყვიით დაცხრილული დაეცა და დაგვიტოვა შესანიშნავი ლექსები, პოემები, თარგმანები, პროზაული ნაწარმოებები. მთელი მისი შემოქმედება ერთ წიგნად მეცნიერმა გრიგერ ფარულავამ შეკრა და შთამომავლობას გააცნო ამქვეყნიდან ნაადრევად წასული ჭაბუკი პოეტი. 2009 წელს მისი რედაქტორობით გამოიცა წიგნი "გრიგოლ მეგრელიშვილი _ ბედის მდინარე". შემდგენლები არიან გრიგერ ფარულავა და ზაურ მეძველია. ეს არის, როგორც თავად გრიგერ ფარულავა აცხადებს, გრიგოლ მეგრელიშვილის თხზულებათა მეორე, სავრძნობლად შევსებული გამოცემა.

ამ საინტერესო წიგნმა სამტრედიამდე მოაღწია და... მე-11 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, მაია ლორიამ გადაწყვიტა, ღირსეული მეცნიერი სკოლაში მოეწვია, ამავე სკოლის სიტყვის თეატრს კი ეს შესანიშნავი წიგნი შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარმოედგინა. სიმბოლურია, რომ ამ სკოლაში შედგა შეხვედრა დიდ მეცნიერთან, რადგან ვალერიანე ჭიქაშუა წლების განმავლობაში იყო სკოლის სასწავლო ნაწილი. გრიგერ ფარულავასთან შეხვედრის ორგანიზატორთა შორისაა ვალერიანე ჭიქაშუას ოჯახის წევრი, ქეთევან ჭიქაშუა.

საბტრედიას განსაკუთრებულად ემშობლიურება გრიგერ ფარულავა. ის ჩვენი წიაღიდან გამოსული ერთ-ერთი ღირსეული ქართველია, თსუ-ს და თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი, თბილისის სასულიერო აკადემიის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე. ბავშვობა და სიჭაბუკის წლები ბატონმა გრიგერმა დედულეთში, "გურიის ჭიშკრად" წოდებულ სოფელ საჯავახოში გაატარა. პოეტი კი, რომლის ხსოვნა მან წიგნით გააუკვდავა, საჯავახოდან თვრამეტიოდე კილომეტრის დაშორებით, ჩოხატაურის მისადგომებთან მდებარე, სოფელ ფარცხმაში დაიბადა. აქვეა მისი საფლავიც.

გრიგოლ მეგრელიშვილი გრიგერ ფარულავას დედის დეიდაშვილი გახლდათ. დედამ, ვერა ხაბეიშვილმა-ფარულავამ შვილს ანდერძად დაუგდო "მთის ნიავის" ჭირისუფლობა. ბატონმა გრიგერმაც ღირსეულად უჭირისუფლა გრიგოლ მეგრელიშვილს.

ამონარიდები გრიგერ ფარულავას წერილიდან: "იდგა 1919 წლის თებერვალი. ქართული ჟურნალ-გზეთების ფურცლებზე, ერთმანეთის მიყოლებით დაიბეჭდა გიორგი ლეონიძის, სიკო ფაშალიშვილის, იოსებ იმედაშვილის, შალვა კარმელის, შიო მღვიმელის, შალვა ბუაჩელის, ნიკო ასათიანის და სხვათა სამგლოვიარო წერილები. იუწყებოდნენ, რომ საქართველოს სამხრეთ საზღვრის დაცვისათვის ბრძოლაში უდეს გადაღმა, ქვაბლოვანის მიდამოებში, ოსმალო-ასკერებისა და სერვერ ბეგ ქობლიანელის ბრბომ ოთხი ტყვიით სიცოცხლეს გამოასალმეს ჭაბუკი პოეტი გრიგოლ მეგრელიშვილი ("მთის ნიავი")... გრიგოლ მეგრელიშვილის ბედისწერა ახალციხის ფრონტზე, ქვაბლოვანის მიდამოებში 1919 წლის 30 იანვარს გმირულად დაცემა კი არ იყო, არამედ სიკვდილის მოლოდინი, იმის შეგნება, რომ არ შეიძლება დაიღუპო. "მთის ნიავი" იმიტომ კი არ მოკვდა, რომ საქართველოს მტრების ტყვიები არ ასცდა, იმისთვის დაიბადა, რათა ის ტყვიები არ ასცდენოდა".

ვიდრე მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლეები თხრობას დაიწყებდნენ, შეკრებილთ გრიგერ ფარულავას წვლილსა და დამსახურებაზე ესაუბრა პედაგოგი მაია ლორია, აღნიშნა რომ უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გრიგერ ფარულავას წმინდა გიორგის ორდენი გადასცა. ბატონი გრიგერი გრიგოლ მეგრელიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გვესაუბრა, შემდეგ კი, ასპარეზი მოსწავლეებს დაუთმო. მოსწავლეებმა ვრცელი მასალის შესანიშნავი აღქმითა და გააზრებით, ემოციური განცდითა და გრძნობით შესძლეს წარმოეჩინათ ამქვეყნიდან ნაადრევად წასული პოეტის შთამბეჭდავი სახე, მისი პოეტური წარმოსახვები, ემოციები, ფრთამოკვეცილი ოცნებები... წაიკითხეს მისი უფაქიზესი ლექსები, ნაადრევი სიკვდილის აჩრდილი რომ ასდევნებიათ...

"ნეტავ იმ ჭაბუკს, ვინც მტრის მკერდში ხმალს აამგოსნებს,

სატრფოს მაგიერ ვნებით ჰოცნის ტყვიებს ჯადოსნურს,

ლაჟვარდ ძარღვებში უჩქეფს სისხლი ლალ-მეწამული..."

_ ასეთი საბრძოლო ყიჟინა მოისმის მისი ლექსიდან "სონეტი გამგზავრების წინ", ახალციხის ფრონტზე მიმავალმა ჭაბუკმა რომ დაწერა.

ბატონ გრიგერს მიესალმა ფილოლოგი ნინო ტონია:

"სადაც წმინდა მამაი გრიგოლ იყოს, მე სიტყვასა არღარა ვეკადრებ, მაგრამ უთქმელობისაც მეშინის". ვტირი, ბატონო გრიგერ, ვტირი, სიყვარულის, მადლიერების, უზომო გრძნობის გამო. გეფერებით ყველას სახელით, მთელი საქართველოს, თქვენი ნამოწაფრების სახელით, ჭაბუკთა ჭირისუფალთა სახელით. როდესაც ჩემი ბაბუა თავისი 27 წლის, ბრძოლის ველზე დაცემული ძმის სადღეგრძელოს ამბობდა, იტყოდა ბროლის ჭიქაში შავ ღვინოს ჭვირი გასდიოდა და დასტურს აძლევდა. საქართველოში არ არის ოჯახი, გულსაწვავი რომ არ ჰყავდეს, ზოგს 4 და 5 ჰყავს. დღეს თქვენ ყველას ერთად ძეგლი აუგეთ. ბატონო გრიგერ, თქვენ ჭაბუკთა მოამაგე ბრძანდებით, მახსოვს უნივერსიტეტის კედლებში, რუსთველოლოგიის კაბინეტში თქვენი უმკაცრესი შეძახილი: ჭაბუკო! და ეს მაშინ, როცა რაღაც არ მოგწონდათ. _ იქნებ დღეს, 300 კილომეტრის მიღმა ლიხს იქიდან წვეულმა კიდევ ერთი გაკვეთილი მისცეთ ჩვენს ჭაბუკობას და გვასწავლოთ ჭაბუკობის ფენომენის გაკვეთილი. იქნებ კიდევ ერთხელ აგვიხსნათ, სად გადის ზღვარი სასულიერო და საერო პოეზიას შორის. არა მგონია, გრიგოლ მეგრელიშვილის პოეზიას არ ეწოდებოდეს სასულიერო პოეზია. გრიგოლ მეგრელიშვილის ფენომენი ჩვენამდე თქვენით მოვიდა, არ შეგვიძლია, არ ვიყოთ მადლიერნი".

გულთბილად მიესალმა ექიმი ლუარა კახიანი გრიგერ ფარულავას და შეგვახსენა, რომ ის იმ მიწაზე დაიბადა, სადაც ბატონი გრიგერი და იგივე სკოლა დაამთავრა (საჯავახოს საშუალო სკოლა), რომელიც დიდმა მეცნიერმა. "მინდა ვუთხრა ამ ახალგაზრდებს, ბავშვებო, მნიშვნელობა არა აქვს, სად დაამთავრებთ სკოლას, ბატონმა გრიგერმა საჯავახოს სკოლა დაამთავრა და მიაღწია თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორობამდე. მქონდა პატივი, ვყოფილიყავი მისი მოსწავლე, აბიტურიენტი". _ განაცხადა ქალბატონმა ლუარამ.

სტუმარს მისადმი მიძღვნილი ლექსით მიესალმა თანაკლასელი ისმაილ ახალაძე.

"აგაშენოთ ღმერთმა, როგორ შემოსულა ეს კაცი თქვენს მოსწავლეებში"

_ ასეთი იყო გრიგერ ფარულავას შეფასება მოსწავლეებისა და პედაგოგის მიერ გაწეული შრომისა.

სკოლის დირექტორი, ლენა ხაჟალია განსაკუთრებული სითბოთი მიესალმა გრიგერ ფარულავას და მის მეუღლეს ქალბატონ მზია მზეკალავას. აღნიშნა რომ სკოლაში ასეთი ადამიანების სტუმრობა სკოლისთვის უდიდესი პატივია. მან ასევე დიდი მადლობა გადაუხადა პედაგოგ მაია ლორიას შესანიშნავი ღონისძიების მოწყობისათვის.

ფოლკ-ჯგუფმა "ლადიმ" (ხელმძღვანელი ბეჟან გოგია) და "მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორულმა ანსამბლმა "დილილმე" (ხელმძღვანელი მერი ტკვაცირია) ულამაზესი ჰანგებით გაალამაზეს საღამო.

ბატონმა გრიგერმა საკუთარი წიგნები სახსოვრად გადასცა ფილოლოგ ქალბატონებს.

საუკეთესო ანიდან ჰოემდე

თეა ბაბუნაშვილი

თავიდანვე ყველაფერი ნათელი იყო! რადგან სოფო მასწავლებელი გვეპატიჟებოდა, პირველკლასელების ღონისძიება აუცილებლად განსაკუთრებული იქნებოდა. მესამე საჯარო სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს პირველკლასელებმა, ჯერ ისევ იმ იასავით პატარებმა, ძია იაკობის "დედაენაში" რომ ხატია, თავიანთი პირველი მასწავლებლის, სოფო ზამთარაძის დახმარებით ღონისძიება გამართეს, იცით, როგორი? ლურჯი იებივით და მათსავით ლამაზი.

აღმოჩნდა, რომ იცოდნენ ბევრი, იმაზე მეტიც, რისი ცოდნაც მოეთხოვებათ. ქართული ანბანის სამეფოში ამოგზაურეს დარბაზში მსხდომი მშობლები და პედაგოგები.

ლექსებად მოჰყვნენ, ჯეჯილ-ჯეჯილ, ყანა-ყანა გაზაფხულმა რომ მოიყვანათ, ფარფატ-ფარფატით მფრინავი პეპელა "დედაენის" სამშვენისად რომ მოიჩქარის, საქართველოს სადიდებლად ყლორტი რომ უფრო აიყარა ვერგაჩეხილმა ვაზმა, "დედაენას" სარეველებს ძირში რომ მოუთოხნის თოხი. არც თხა და გიგო დავიწყნიათ და არც ირემი, მერცხალი, თუ ბეღურა, "დედაენამ" ყველა რომ დაიტია. იმღერეს? იცეკვეს? _ ჩინებულად! და ყველაფერ ამის, დადგმული ქორეოგრაფიული ნომრების, შეგრილებულ-თავმოყრილი მუსიკალური ნომრების, სანახაობის კომპოზიციური სტილის ავტორი და რეჟისორი ჯერ ისევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი სოფო ზამთარაძე გახლდათ, პედაგოგი, რომელსაც, როგორც აღნიშნეს, უყოყმანოდ ანდობენ მშობლები თავიანთ ჯერ ისევ პირველკლასელ შვილებს. და აქვე დეკორაცია _ რა თქმა უნდა, მხატვრის როლიც მან შეითავსა. ის მუხა, მუმლი რომ ხშირად ეხვეოდა, ახლა ქართული ასოები აესხა აბჯრად, რადგან იგი საქართველო იყო, დარაჯად კი საყვირით ხელში ჯარისკაცი "ა" და შუბოსანი "ჰ" ედგნენ. მასწავლებლის ჩანაფიქრი ამ დეკორაციით კიდევ უფრო თვალშისაცემი გახლდათ. მას არც გასჭირვებია კი არა, უხდებოდა კიდეც, მოსწავლეებთან ერთად ცეკვა-სიმღერა.

შეფასებებიც ისეთი იყო, სოფო მასწავლებელს და მის პატარებს რომ ეკადრებათ. "მოგესალმებით ჩემო ლამაზებო და ჭკვიანებო. ერთი წლის წინ თქვენ ფეხი დადგით ცოდნის შეძენის პირველ საფეხურზე და ჩვენი დახმარებით ამ კიბის წარმატებით ავლას შესძლებთ. ხომ გვიმღერეთ, თუ ვეცდებით, ყველაფერი გამოგვივაო, ჰოდა, ეცადეთ, ყოველთვის წარმატებულები იყოთ, რომ ღირსეული ქართველები გაიზარდოთ. ბევრ კარგ ღონისძიებას ველით თქვენგან და სოფო მასწავლებლისგან." _ მოეფერა მათ სკოლის დირექტორი ვენერა ოდილავაძე.

სკოლის სასწავლო ნაწილმა, მარინა ნადირაძემ სიყვარულით მიმართა მათ: "ჩემო პატარებო, ჩემო არაჩვეულებრივებო, არა მარტო ეს დღე, ყველა დღე თქვენია. დაუჯერეთ სოფო მასწავლებელს, დაუჯერეთ მშობლებს, რომ უკეთესები გახდეთ, უფრო კარგები გაიზარდოთ. გმადლობთ ამ ლამაზი წუთებისათვის." ემოციური გახლდათ სკოლის ყოფილი პედაგოგისა და სასწავლო ნაწილის, მარინა სანაძის სიტყვები, რომელიც ამ ღონისძიების საპატიო სტუმარი გახლდათ: "ვიცი, რომ რეჟისორიც, დამდგმელი ოპერატორიც, ქორეოგრაფიც, მხატვარიც სოფო მასწავლებელია ამ ღონისძიების. მადლობა ამ ლამაზი ღონისძიებისთვის. იგი ამ სკოლის მოსწავლე იყო, ჩემს ხელში გაიარა. მახარებს მისი შემოქმედებითობა და წარმატებები. სკოლის ეზოში ფეხი რომ შემოვდგი, ვთქვი, რა ვქნა, მიყვარს ეს სკოლა! თქვენც გისურვებთ ბავშვებო, პირველკლასელებო, სკოლის სასახელოდ დასრულებას, მერე კარგ ქართველობას და ყოველთვის გეთქვათ, მიყვარს და მეამაყება მე-3 საჯარო სკოლა!"

პირველკლასელების ღონისძიება მათსავით ლამაზი საუკეთესო გახლდათ, საინტერესო "ანიდან ჰოემდე".

დიახ, "თუ, თუ, თუ, თუ გინდათ" კარგი მოსწავლეები, ბეჯითი პირველკლასელები ნახოთ, სოფო ზამთარაძის საკლასო ოთახში უნდა შეიხედოთ. თუმცა ახლა ამ პატარა სანახაობას დავჯერდეთ და მხიარული ზაფხულის დაწყებას შევეგებოთ. სექტემბრამდე კი, "დანარჩენი გაიგრძელეთ სახლში..."

ბოლო გაჩერება

ჩანახატი

ვიწრო ჩიხიდან გამოვიდა და მარჯვნივ, ფართო ქუჩას დაადგა. მიდიოდა, მიდიოდა და ისე ჩანდა, თითქოს, არც კი იცოდა, საით მიდიოდა. ლამაზ, ლურჯ თვალებში უსაზღვრო სევდასთან ერთად ცრემლი ჩაბუდებოდა. ლიბრი ხელს უშლიდა ნაბიჯის მონაცვლეობაში, თითქოს ბორძიკობდა.

მიდიოდა ქალაქის მთავარ ქუჩაზე ლამაზი, ფეხარეული ქალი. სუსტ მხრებზე ჩამოშლილ, ოქროსფერ კულულებს ნიავი უფრიალებდა. ზოგჯერ სახეზეც გადაეფარებოდა იგი და უფრო უბნელებდა ბურუსთან გზა-სავალს. თავის უღონო გაქნევით თმებს უკან გადაიყრიდა და მიდიოდა...

მატარებლის მოულოდნელმა, ხმამაღალმა სიგნალმა შეაკრთო, შეჩერდა. აღარ იცოდა, საით წასულიყო.

_ მატარებელს გავყვები! _ ჩაილაპარაკა და მარცხნივ მატარებლის ვაგზლისაკენ შეუხვია. სუსტი მხრიდან მსუბუქი ხელჩანთა ჩამოუსრიალდა და უილაჯოდ დაეკიდა ხელის მტევანს. ისევ შეჩერდა. ხელჩანთაც ისევ მხარზე გადაიკიდა და ვაგზლის სალაროსთან მივიდა.

_ ერთი ბილეთი! _ ხმადაბლა მიმართა მოლარეს.

_ რომელ მატარებელზე გნებავთ ბილეთი? _ შეეკითხა მოლარე.

_ რომელიც ჩამომდგარია ბაქანზე.

_ სადამდე გნებავთ ბილეთი? _ ისევ შეეკითხა მოლარე.

_ ბოლო გაჩერებამდე.

_ იჩქარეთ, ქალბატონო, მატარებელი ხუთ წუთში გავა! _ და მოლარემ ბილეთი მიაწოდა.

ბაქანზე ბუზებივით ირეოდნენ მგზავრები. ზოგი ჩამოდიოდა, ზოგი ადიოდა... იყო გამოსათხოვარი სიტყვები თუ შეხვედრით აღტაცებული შეძახილები. ქალი მატარებლის კიბესთან შეჩერდა. ირგვლივ მიმოიხედა. არა, აქ მისი გამცილებელი არავინ ჩანდა, არც არავინ იცოდა, საით მიდიოდა ქალი, არც თავად იცოდა...

მატარებელმა ისევ მიაკივლა ბაქანს. ქალი ისევ შეკრთა.

_ გამასწრებს! _ თქვა და კიბის სახელურს ხელჩაჭიდებულმა, მძიმედ აზიდა მსუბუქი სხეული. ვაგონში შესულმა მატარებლის მოძრაობის საპირისპიროდ შენიშნა თავისუფალი სკამი და ჩამოჯდა. დაიძრა თუ არა მატარებელი, ქალს გული აერია და ფეხზე წამოდგა.

_ ნუთუ მატარებელშიც შეიძლება ცუდად გავხდე! _ თქვა და გარეთ გავიდა. ღია ფანჯარასთან შეჩერდა და შემხვედრ ნიავს გახურებული შუბლი მიუშვირა. გულისრევამ გადაუარა.

მიდიოდა მატარებელი და მიჰყავდა ღია ფანჯარასთან მდგარი, ძალიან ლამაზი, თვალცრემლიანი, ცვილივით ფერმკრთალი ქალი. მიდიოდა მატარებელი და ქალმა არ იცოდა საით, არც აინტერესებდა. მთავარი ის იყო აქედან, ამ ქალაქიდან მიდიოდა. ბევრჯერ შეჩერდა მატარებელი. ძველი მგზავრები ჩადიოდნენ. ახლები ამოდიოდნენ. ქალმა არ იცოდა რამდენჯერ გაჩერდა მატარებელი, ან ახლა სად იყო. არც აინტერესებდა.

ელვის სისწრაფით მიჰქროდნენ მატარებლის ლიანდაგის გასწვრივ მდგარი ხეები და სინათლის ბოძები. ერთმანეთს ენაცვლებოდა მინდორი, ტყე, სოფელი, ქალაქი. უყურებდა ქალი ამ ლამაზ სანახაობას, მაგრამ მაინც ვერაფერს ხედავდა. ისევ ცრემლით ჰქონდა თვალები სავსე.

მატარებელმა უკანასკნელად მიაკივლა და შეჩერდა. თავიანთ ბარგთან აფუსფუსებულმა მგზავრებმა ჩასვლა დაიწყეს. ქალი კი ისევ უძრავად იდგა. სივიწროვის გამო ხშირად მხარსა, ან ბარგს გაჰკრავდნენ ქალს, ის მაინც ვერაფერს გრძნობდა...

_ გოგონი, თქვენ არ ჩადიხართ? ბოლო გაჩერებაა უკვე! _ ქალთან ხნიერი მამაკაცი შეჩერდა.

_ ბოლო გაჩერებაა? _ კითხვა შეუბრუნა ქალმა, _ როგორ არა, როგორ არა, გმადლობთ, ძია. _ უთხრა და წასასვლელად შეტრიალდა. ჩავიდა და ახლა ამ უცხო ბაქანს მოავლო დაბნეულად თვალი. _ ღმერთო ჩემო. ბოლო გაჩერება. ნუთუ ესაა ბოლო გაჩერება? ჰო, ალბათ, ესაა ჩემი ბოლო გაჩერება! აქაც, ამ უცხო ბაქანზეც უამრავი ხალხი ირეოდა. ყველას სადღაც მიეჩქარებოდა, ყველას რაღაც მიზანი ჰქონდა. მას კი... არსად ეჩქარებოდა.

ერთხანს დაბნეული იდგა. მგზავრობისას ფეხზე მდგარი, დაღლილი ქალი უფრო დაიღალა. ისევ მიმოიხედა ირგვლივ და იქვე ბაქანზე, ცარიელ სკამზე ჩამოჯდა. თავისი მსუბუქი ხელჩანთა კალთაში ჩაიდო. მუხლებზე დაყრდნობილ ხელებში ფერმკრთალი სახე ჩარგო და გაირინდა.

_ ბოლო გაჩერება, ჩემი ბოლო გაჩერება! _ ჩუმად ამოიოხრებდა. იჯდა და არ იცოდა რამდენი ხანი უნდა მჯდარიყო აქ.

_ დიდხანს ჯდომამ მთელი სხეული გაუშეშა.

_ არა, არა! _ საკმაოდ ხმამაღლა წამოიძახა ბოლოს, თავი მაღლა აიღო, ფეხზე წამოდგა. დაღლილობითა და შიმშილობით ღონეგამოცლილი, დაბარბაცდა. თავი გაჭირვებით შეიმაგრა, რომ არ დაცემულიყო.

_ არა, არა! სულიერად არ უნდა დავეცე, არ მაქვს ამის უფლება! მე ხომ... ჰო, მე ხომ არაფერი დამიშავებია. მაშინ რისი ან ვისი უნდა მეშინოდეს, ან მრცხვენოდეს. არა, არ დავნებდები, ეს ბოლო გაჩერება კი არა, ეს... აქ დასაწყისი იქნება... დასაწყისი ახალი ცხოვრების... ღმერთი მომცემს ამის ძალას. _ ქალმა მიმოიხედა და გაუკვირდა, ირგვლივ ნეონის ნათურები კაშკაშებდნენ, დაღამებულა და არც გაუგია. საკმაო ძალა იგრძნო და ფეხი მოინაცვლა. ბაქანი დაცარიელებულიყო, კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა ვინმე. ბაქანზე მოვაჭრე ქალები ისხდნენ აქა-იქ. არ იცოდა, სად წასულიყო, ღამე სად გაეთია. დაბნეული იდგა და ფიქრობდა.

_ შვილო ცუდად ხომ არა ხარ? _ მხარზე ფრთხილად შეახო ხელი ვიღაც ხნიერმა ქალმა. შეკრთა და ქალს შეხედა. დედის თბილი ღიმილით უყურებდა იგი და მასაც უცნაური სითბო ჩაეღვარა სულსა და სხეულში.

_ არა, დედი. ახლა უკვე აღარა ვარ ცუდად. არა, არა. კარგად ვარ. ძალიან კარგად. გმადლობ დედი, გმადლობ!

_ ქალი უცებ მოხუცს გადაეხვია და მის მკერდზე ატირდა. მოულოდნელობისაგან დაბნეული მოხუცი ფრთხილად ეფერებოდა მის მკერდს ჩაკრულ, ატირებულ, ახალგაზრდა ქალს მოცახცახე მხრებზე. იგრძნო, რომ ძალიან უჭირდა ქალს ძალიან. თავი ფრთხილად აუწია, თვალებში ჩახედა და ისევ თბილი ღიმილით უთხრა:

_ ნუ გეშინია, შვილო. ნუ გეშინია. მე შენთან ვარ. ნურაფრის შეგეშინდება ღმერთის და ჩემი იმედი გქონდეს!

_ ახალგაზრდა ქალმა მოხუცს შეხედა და ახლა უკვე შვებისა და სიხარულის ცრემლებით ატირდა.

ირგვლივ მოკაშკაშე ნათურებიც თითქოს იმედიანი, ეშმაკური სიანცით უკრავდნენ თვალს.

ქალი გაჩუმდა. მოხუცის მკერდიდან თავი აიღო და... გაიღიმა.

მარინა გოგაძე

გიყვარდეთ მოყვასი...

ეს ღვთიური მცნება რეალობად კიდევ ერთხელ აქციეს სამტრედიის მეთერთმეტე საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებმა.

არამალფუჭებადი პროდუქტები ლამაზ ყუთებში ჩადეს მოსწავლეებმა და 10 მაისს შუადღისას, სათნოების სახლის სათნო ბინადართ ხელდამშვენებულები ეწვივნენ.

ვიდრე მოხუცები დარბაზში მათთვის განკუთვნილ ადგილებს იკავებდნენ, ბავშვები სახელდახელო კონცერტისთვის მოემზადნენ...

ფანდურის ტკბილ ხმაზე ქართული ფოლკლორის ცალკეული მარგალიტები შეასრულეს, იცეკვეს, ერთი ჩვეულებრივი დღე არაჩვეულებრივად უქციეს მოხუცებს და შეჰპირდნენ, კვლავ გინახულებთ, უჩვენოდ არ მოიწყინოთო.

_ უზომოდ გახარებულები ვართ, სკოლის თვითმმართველობის მორიგი ღონისძიებაა დღევანდელი აქტივობა, ყველაფერი მოსწავლეებმა, თავიანთი სურვილით, ნებაყოფლობით შეაგროვეს, აქ წინათაც ვიყავით. თვითმმართველობასთან ქველმოქმედთა გაერთიანება მოქმედებს, ამას წინათ, სკოლის მასშტაბით 600 ლარი შევაგროვეთ და რთული ოპერაციის დაფინანსებაში დავეხმარეთ ერთ-ერთ ადამიანს. _ გვითხრა თვითმმართველობის თავმჯდომარემ, მარიამ ბარბაქაძემ.

უზომოდ კმაყოფილები, ნასიამოვნები ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს სტუმრებიცა და მასპინძლებიც.

მეთერთმეტე საჯარო სკოლის მიერ მაღალ დონეზე ორგანიზებულ ღონისძიებათა შესახებ ''სამტრედიის მაცნე'' ხშირად წერს, 10 მაისის ეს საქველმოქმედო აქციაც ლამაზ ფურცლად ჩაიწერება სკოლის ისტორიაში.

დაბოლოს, მადლობას იმსახურებს სკოლის დირექცია, დირექტორი ლენა ხაჟალია, პედაგოგიური კოლექტივი, პედაგოგი მადონა კერელეიშვილი, რომელიც მოსწავლეთა თვითმმართველობის კოორდინატორია და, რაღა თქმა უნდა, ბავშვები, თვითმმართველობის წევრები, რომელთაც შეუძლიათ, სხვებს სიხარული მიანიჭონ, გულები გაუთბონ და თავი მარტოსულებად არ აგრძნობინონ.

კარგი ბავშვები ხართ, ბავშვებო!

ლევან გაბიჩავა

მადლობა

უღრმეს მადლობას მოვახსენებ მუნიციპალიტეტის თავკაცებს ფინანსური და მორალური თანადგომისათვის.

პატივისცემით რომან ბექაია
სამტრედიის საპატიო მოქალაქე

ახალი ლექსები

გამოეღვიძა თბილისს ისე, რომ
ქვეშაგებივით აშალა ბინდი.
და მტკვარს, როგორც თითზე ბეჭედი
წამოუცვია მეტეხის ხიდი...
მოდიან ბებერ მეარღნესავით
ძველი ქუჩებიც ტკბილი სალმებით
და არღანივით მოაქვთ ბარბაცით
მხარზე შემდგარი ძველი სახლები...

***

აყვავებულა ღამე ბაღივით
ღრუბლების ხნულში,
მზის მარცვლებად თესენ ვარსკვლავებს
ნახევარმთვარე ჩამოუტეხავთ
თითქოს მჭადივით
და ობოლ მგზავრებს
ღამის საგზლად გამოატანეს...

***

თბილისი მუხლებამდე
მტკვარში ჩამდგარა და
ბებერ მეთევზეს ჩამოჰგავს,
და მეტეხის ბადით აივნიანი სახლები
თითქოს თევზებივით ამოჰყავს.

***

ღამე ჩამიშრა დილით თვალებში
და ტკბილი სიზმრები პატარა თევზებივით
თითქოს გატეხილ აკვარიუმიდან
გადმომიცვივდა.

***

ღრუბელში დაბუდებულ წიწილებივით
მთვარეს და ვარსკვლავებს
მოხუცი ქალივით ნიავი მიაბნევს
აი, გაწვიმდა და წვიმის ლურსმნები
თითქოს შემოდგომას აჭედებს მიწაზე...

***

აი, პატარა გუბესავით
ღამე ამომშრალა
და უწყლო თევზებივით მოლაპლაპე
სიზმრები მოსჩანან...

ერმილე თოფურია

შეგიჯმაღლებიდი გაღღიდ ცნაებული ჟაღბატინი

გორმაღალი სამტრედიის რაიონში ერთ-ერთი მაღალმთიანი და ლამაზი სოფელია გულგადაშლილი მთებით, მთებს შორის მოქცეული უმშვენიერესი კალთით, სადაც კოპწია ოდები და კარ-მიდამოებია შეფენილი. აქაური მცხოვრებლები გამოირჩევიან იმერულ-გურული კილოთი და ტრადიციით, სუფთა გულით და ხალასი, მოსწრებული, სიტყვა-პასუხით. გორმაღალი სამტრედია-ჩოხატაურის (გურიის) საზღვარზეა, სამტრედიიდან 20 კილომეტრითაა დაშორებული და სოფლის გულისთქმის ამოცნობა არც ისე იოლია. ამ სოფლის მკვიდრი, ჩინებული პედაგოგი და თავის სოფელზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალბატონი იზოლდა ლორია თანასოფლელთა სიხარულსა და რკივილს წლების განმავლობაში გულწრფელად ატარებდა; სიტყვით და საქმით აქტიურად, მოღვაწეობდა თანასოფლელთა გვერდით, მას ახალგაზრდობიდან ვიცნობდი თავისი გამორჩეული აკადემიური ქართული მეტყველებით, ხალხური ზეპირსიტყვიერებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებითა და ჟურნალისტური ნიჭით, რაც გაზეთ "წინსვლის" (შემდეგში "სამტრედიის მაცნე") ფურცლებზე ვლინდებოდა. ის სოფლის აქტივთან ერთად იყო გულითადი მასპინძელი, სოფლის პრობლემების გადაჭრისათვის მებრძოლი და რაც მთავარია, ქართული სიტყვის სადარაჯოზე მდგომი. მახსოვს, ქალბატონ ჟულიეტა გოგავასთან ერთად, როგორი სიამაყით მოგვატარა ცნობილი ქართველი მწერლის, პარმენ ლორიას ძველი ფუძე. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მწერლის ოჯახთან, მის საღამოებზე ყოველთვის ეპატიჟებოდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებიდან და ისიც თანამემამულე მწერალს ღირსეულ პატივს მიაგებდა.

ჩვენი ურთიერთობა 80-იანი წლებიდან მეგობრობაში გადაიზარდა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ რაიონული საბჭოს დეპუტატად გორმაღლიდან ვიყავი არჩეული. მიხაროდა, თუ რომელიმე პრობლემას მოსახლეობის სასარგებლოდ მოვაგვარებდი. 90-იანი წლებიდან ცხოვრება დამძიმდა. ტრანსპორტირებაც გაძნელდა, მაგრამ ამას ჩვენი ურთიერთობისთვის ხელი არ შეუშლია, ვხარობდი, როცა ქალბატონი გორმაღლელ მეგობრებთან ერთად, ჩვენი ოჯახის ჭიშკარს შემოაღებდა, შემოდიოდა სახლში და შემოჰქონდა სიხარული, მხნეობა, იმედი. სწორედ ასეთ თბილ გარემოში გამანდო, რომ მოთხრობები ჰქონდა დაწერილი. მაშინვე დავინტერესდი, თავად წამიკითხა, შთაბეჭდილებამ მოლოდინს გადააჭარბა. გულწრფელად ვთხოვე, წიგნად გამოეცა. გამიძალიანდა, ეუხერხულა, მე მწერალი კი არე ვარო, თანაც ამას ხომ ფინანსები სჭირდებაო. დავარწმუნე, რომ გვერდით დავუდგებოდი. კეთილი ადამიანები მოვიძიე, ბორის ფოცხვერაშვილმა, როგორც მეგობარმა თავის მხრივ დახმარება გაუწია და ერთ დღეს ქალბატონმა იზოლდამ გეზი თბილისისაკენ აიღო. პირველი წიგნი "ჩემი მშვენიერი ქალბატონი" თბილისის ერთ-ერთ გამომცემლობაში გამოსცა. როცა წიგნი მისახსოვრა, მაშინ წავიკითხე წარწერა: ვუძღვნი ჩემს უსათნოეს მეგობარს, "ქალბატონ ნათელა გელეიშვილს". ეს იყო ნამდვილი სიურპრიზი, იმ დიდი სიყვარულის გამოხატულება, რაც ჩვენსა და ჩვენს ოჯახებს შორის დამკვიდრდა. ამ წიგნში განთავსებული მოთხრობები ხომ იზოლდა ლორიას გულის ნაწილია, ტკივილი და სიყვარულია. რეალურ ფაქტებსა და მონათხრობზე აგებული ნაწარმოებები მკითხველში მეტ დამაჯერებლობას იძენს, განსაკუთრებით თბილია თავისი სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგებისადმი მიძღვნილი ნატიფი სტრიქონები.

რა ბედნიერი და ამაყი იყო იზო, როდესაც თანამემამულე პოეტ ზოია ვაშაკიძის შემოქმედებით საღამოს თბილისში, მწერალთა კავშირში დელეგაციის სხვა წევრებთან ერთადს ესწრებოდა. ამაღლებული განწყობა სუფევდა, ჩამოსვლისთანავე გაზეთ "სამტრედიის მაცნეში" თავისი შთაბეჭდილება გამოაქვეყნა, რომელიც პოეტს ძალიან მოეწონა და თავის ახალ გამოცემაში მისი შეტანა გადაწყვიტა.

ქალბატონმა იზოლდამ თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ტრადიციად დაამკვიდრა დაბადების დღის აღნიშნვა, სადაც მხოლოდ უახლოესი ადამიანების ვიწრო წრე იკრიბებოდა: მეზობლები, ნათესავები, მეგობრები. ეს იყო იზოს სიყვარულით დატვირთული დღე, რომლის მოახლოება საოცრად გვახარებდა, ვეფერებოდით იუბილარს და სიყვარულით ვათბობდით ერთმანეთს მაშინ, როცა საზოგადოებაში ადამიანური ურთიერთობისა და სიყვარულის დეფიციტი იგრძნობოდა. კიდევ კარგი, რომ ლამაზი და დაუვიწყარი მოგონებები დარჩა. საოცარი იყო იზო, გვიანიც რომ ყოფილიყო, ღამით არაფრით დარჩებოდა, იტყოდა, ჩემი ძაღლი ახლა ჭიშკართან მელოდებაო. ესათუთებოდა თავის ფუძეს, რამდენი ტკივილი ხვდა მეორე მსოფლიო ომიდან შინმოუსვლელი მამის ობლად დარჩენილ შვილს, მისი საფლავის ძიებას შეალია ძვირფასი წლები, დედის დაკარგვა კი უდიდესი ტრაგედია იყო. მისმა გულმა უახლოესი ადამიანებისა და მეგობრების გარეშე ცხოვრება ვერ აიტანა, თანდათან შემოელია ენერგია, ძალა, ჯანმრთელობა, იმედი და მიიცვალა. ყველას გული ატკინა. მისი ოჯახი ხომ სოფლის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის დიდებული მასწავლებელი, ჩვენი საუკეთესო მეგობარი იზოლდა ლორია ცხოვრობდა, ამ სოფლის მშვენიერი ქალბატონი.

ნათელა გელეიშვილი

25 მაისი ამირან ნიკოლეიშვილის დაბადების დღეა

ვარდობისთვე _ 25 მაისი თქვენი სიცოცხლის საწყისია ამიერში _ თქვენი დაბადების დღე, რომელიც 64-ჯერ განმეორდა თავისი განსაკუთრებულობითა და შემოქმედებითი წვით, დაუდგომელი ბობოქარი სულითა და შეუპოვარი ხასიათით.

65-ე 25 მაისი თქვენზე ტკბილ-მწარე მოგონების დღედ იქცა და ასე გაგრძელდება ამიერიდან.

ვარდობისთვის ულამაზეს დღეს ამქვეყნად მოვლენილი, ბუნებამ უხვად დაგაჯილდოვათ სულისა და სხეულის თანხვედრილი მშვენიერებით, ნიჭიერებით, ვაჟკაცობითა და გონიერებით. ყოველივე ეს იშვიათთა-რჩეულთა ხვედრია უფლისაგან ნაბოძები, ამიტომაც, ალბათ, იშვიათებს _ გამორჩეულებს ხანგრძლივად ვერ აძლევს ამქვეყნად არსებობის უფლებას, ამიტომაც ცხოვრების ნახევარ გზაზე გადაიხმაურეთ და შუადღისას შემოგაღამდათ, ასე ხანმოკლედ განისაზღვრა თქვენი მიწიერი ცხოვრება და ზეცად ამაღლდით.

კაცი კვდება და ერი რჩება. საზოგადოება პატივს მიაგებს, თუკი იცის მისი ფასი. ზოგჯერ ხდება, რომ გვიან გაირკვევა მისი ფასი. ქართველებს არ გვაკლია ნაგვიანევი შეფასებები ერისკაცებზე. ასე მოხდა თქვენს შემთხვევაშიც. უბრალოებამდე დასული თქვენი ხარისხის სასადავის გამო, სათანადოდ ვერ განისაზღვრა თქვენი პიროვნული სიმაღლე, თქვენი სიღრმე. რჩეულთა ხვედრია გაევლოთ დროის გამოცდა და მისი სიკვდილის შემდგომ ხვდებიან, ვინ დაკარგა ქვეყანას.

თქვენს პიროვნებას ესადაგება დიდი გალაკტიონის როდის ნათქვამი:

"... იგი დაფნის იყო ღირსი, დიდი ცეცხლით იწვოდა, მაგრამ მაინც ყოფნა მისი გაჰქრა უმაისოდა".

ყველა დროის პრობლემად ქცეულა ღირსეულის თავის დროზე დანახვა და ასეა დღესაც.

თქვენი პიროვნება თავისი ცხოვრების წესითა და შემოქმედებით ძალზედ ღრმაა.

თქვენთან მუდამ ქართველი ხალხის ისტორიის ფურცლების შრიალი ისმოდა. თქვენი შემოქმედებითი სული წინაპართა გმირულ ისტორიას ღაღადებდა, სამშობლოსა და ქართველი ერის სიდიადეს ეთაყვანებოდა და შეუნელებელი ცეცხლით იწვოდა. თქვენი ოთახი წარსულიდან ჩამოსული სტუმრებით ივსებოდა, ისტორიულ გმირებთან ერთად იწყებდით გარდასულ საუკუნეთა ქარტეხილებში მოგზაურობას, იმ გმირებთან ერთად, რომელთა ნამღვაწარი საუკუნეებს გამოჰყვა ისტორიული პირველწყაროებითა თუ ვარაუდებით, ზოგ შემთხვევაში კი მრავალი თავსატეხი გაუჩინა და დაუტოვა მომავალ თაობას ათასწლეულთა ულმობელი დროის საბურველის გამო.

მუდამ ბრძოლისათვის მზადყოფს ჰგავდით. განმკეწლავი მართალი სიტყვა ქამანდივით მომარჯვებული გქონდათ ზოგიერთ მავანთა მიმართ.

სიკვდილის წინ თქვენს მიერ დაწერილი ეპიტაფია სავსეა სიცოცხლესთან განშორების სინანულითა და სევდით. იოლად არ გეთმობოდათ სიცოცხლის 64-ე გზაფხული, გასაფრენად გამზადებულ სულს შემოქმედებითი ფიქრებით იბრუნებდით, წერდით, სტრიქონებს სანთლებივით ანთებდით, კარზე მომდგარ სიბნელეს დროებით ასე იშორებდით და ივიწყებდით. თქვენი სიცოცხლე სწორედ ამ სანთლებზე დაიწვა. თქვენი საქმისადმი უანგარო სიყვარული სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შეინარჩუნეთ და სიკვდილამდე არ შეგიწყვეტიათ შემოქმედებითი აზროვნება, ლოგინზე მიჯაჭვულმა შექმენით კიდეც უკანასკნელი ნაშრომი "ფიქრები საქართველოზე".

თქვენეული ხელწერით შექმნილი შემოქმედებითი სამყარო ღრმა პროფესიულ შესწავლას მოითხოვს, რომლის ჯეროვანი დაფასება მომავლის საქმედ რჩება.

იყავით დაუეჭვებელი ერთგული მეგობარი. ასეთად აღიბეჭდეთ ჩვენს მეხსიერებაში და ჩვენი სულის მუდმივი თანამგზავრი გახდით.

"აწ ჩავლილია მაღალი კაცი, სევდილის შემდეგ რომ დარჩა ჩვენში".

25 მაისს თქვენი მეგობრები 65-ე გაზაფხულს მოგილოცავთ იმიერში გადასულს უფლისადმი ვედრებით, დაგმკვიდროთ მშვიდობის სასუფეველი და გამყოფოთ ნათელში. დარწმუნებული ვართ, უფალი იქ დაავანებდა თქვენს სულს, სადაც მართალნი განისვენებენ. ამინ!

ჰარიეტა რუსია _ ჰრეფსიორე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი თევზაძე _ პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, ნინო მიქელაძე _ პედაგოგი, თამარ რაზმაძე _ პედაგოგი, აკაკი რუხაძე _ პოეტი, თეიმურაზ ჯულაკიძე _ ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატი, ისიდორე ჯანელიძე _ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაუგრძნობს ანჟელა კრავეიშვილს მეუღლის

ჯუმბერ ჩხაიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ანჟელა კრავეიშვილს მეუღლის

ჯუმბერ ჩხაიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რკინიგზის დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს ადმინისტრაცია სამძიმარს უცხადებს მაია ბაკურაძეს და აპოლონ გახოკიძეს დედამთილისა და დედის

გულნარა კვანტალიანი-გახოკიძის

გარდაცვალების გამო.

სს "საქართველოს რკინიგზის" ელექტროსამონტაჟო სამმართველოს ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ ციცინო ღაღანიძეს და დავით სანიკიძეს დედისა და ბებიის, ქალბატონი

ლოლა ახობაძე-ღაღანიძის

გარდაცვალების გამო.

სს "საქართველოს რკინიგზის" ელექტროსამონტაჟო სამმართველოს ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ მერაბ და ნატო სტურუებს ბატონი

ტრისტან გოცირიძის

გარდაცვალების გამო.

ბიძაშვილი რომან ბექაია, რძალი ლალი კალაძე ოჯახით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ (ტამანგო) დავითის ძე ბექაია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს რომან ბექაიას ბიძაშვილის

ოთარ დავითის ძე ბექაიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ნიკა სანაძეს

მამის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს დავით ცხვარაძეს

მამის

გარდაცვალების გამო.

თამარ ბიბილეიშვილის მორიგი წარმატება

მიმდინარე წლის 12, 13, 14 მაისს თბილისში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში (შინკიოკუშინი). მასში 25 ქვეყნის 360-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსებას სხვა სპორტსმენებთან ერთად სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტსკოლის კარატეს ჯგუფის წევრი თამარ ბიბილეიშვილი იცავდა, რომელმაც 60 კგ-მდე წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

თამარი 2017 წლის იანვარში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც იაპონიის ქალაქ ნაჰაში (კუნძული ოკინავა) გაიმართება.

"სამტრედიის მაცნე"

სამტრედიის საფეხბურთო კლუბი ევროპის სარბიელზე იასპარეზებს

8 მაისს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 28-ე ტურის ხუთი მატჩი ჩატარდა.

სამტრედიის "სამტრედიამ" და გორის "დილამ" თავ-თავიანთი შეხვედრები მოიგეს და ევროთასების საგზურები გაინაღდეს. "სამტრედიამ" სტუმრად ფოთში "კოლხეთს" სამი უპასუხო გოლი გაუტანა, ხოლო გორელებმა საკუთარ მოედანზე თბილისის "საბურთალოს" სძლიეს _ 2 : 1.

საფეხბურთო კლუბ "სამტრედიამ" 22 წლიანი პაუზის შემდეგ 8 მაისს პირველად მოიპოვა ევროპის ლიგის საგზური. "სამტრედია" ევროპის სარბილეზე იასპარეზებს.

ნინო ნანიტაშვილი

ლელობურთი
გაიმარჯვეს ქვემო შუხუთელებმა

პირველ მაისს _ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს ჩვენი მეზობელი _ ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში 62-ედ ჩატარდა ტრადიციული შეჯიბრება ლელობურთში ზემო და ქვემო შუხუთელებს შორის.

ორსაათნახევარზე მეტი საინტერესო და დაძაბული ბრძოლისა და 18 კილოგრამიანი ბურთის დევნის შემდეგ გამარჯვება ქვემო შუხუთელებს დარჩათ. გაიმართა საინტერესო კონცერტი.

ლელობურთის დღესასწაულს სოფელ შუხუთში ამ დღეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო ცნობილი მომღერალი და საქართველოს განვითარების ფონდის ხელმძღვანელი პაატა ბურჭულაძე.

ლელობურთის მონაწილეებმა ამ დღეს პატივი მიაგეს გარდაცვლილი ლელობურთელების ნათელ ხსოვნას.

ირაკლი ნიკოლეიშვილი

ვულოცავთ!

ბატონებს ზურაბ გოგიას და ლევან ახობაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის შემწე და მფარველი.

ვეტერანთა რაიონული კავშირი

ბატონებს ზურაბ გოგიას და ლევან ახობაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ. იხარეთ და იდღეგრძელეთ.

"სამტრედიის მაცნე"

გამოსაშვებ საღამოზე

მასწავლებლებთან საუბრისას

"მომენატრება ჩემი სკოლის კედლები..."

ჩვეულებრივ

"როგორც იქნა, მოვშორდები სკოლას..."

ნორჩ მოჭადრაკეთა წარმატება

სამტრედიელ სპორტსმენთა წარმატებებით, დიახაც რომ, განებივრებულები ვართ. განსაკუთრებულია ჩვენი რაიონის მკვიდრთა წვლილი ჭადრაკის, ამ გონივრული თამაშის კიდევ მეტად პოპულარიზაციაში.

სოფიკო ტერელაძის, მერი არაბიძის, დავით ჯოჯუას გვარ-სახელებიც საკმარისია ამის დასტურად.

საამაყოა, სასიხარულოა, რომ პოზიციებს არ თმობენ სამტრედიელი მოჭადრაკეები და... წარმატებას წარმატება ემატება.

ტურნირში "თერჯოლა 2016" იმერეთისა და რაჭის 250-მდე მოჭადრაკე, მათ შორის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ვანო კილტავა) მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

14 წლამდე მოჭადრაკეთა შორის პირველი ადგილი გიორგი ელაშვილმა დაისაკუთრა.

მესამე ადგილს დასჯერდა 12 წლამდელთა შორის ბექა გიორგაძე (მწვრთნელი ნინო ჯვარშეიშვილი).

პირველ ადგილზე 16 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის საბა არაბიძე გავიდა, მეორე ადგილს 10 წლამდე ასაკის მოჭადრაკეები: ბარბარე გაგუა, მესამე ადგილს კი მარიამ გოთოშია დასჯერდნენ. 12 წლამდე სპორტსმენთა შორის მესამე ადგილზე ნინო მეფარიშვილი გავიდა (მწვრთნელი ბესო ლეჟავა).

სამტრედიელ ნორჩ მოჭადრაკეებს, მათ მშობლებს, მწვრთნელებს 11 მაისს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში წარმატებები მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, სამტრედიის ჭადრაკის ფედერაციის, თავმჯდომარემ, კობა ძიძიგურმა, გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, ნატალია მანჯგალაძემ, სპორტსკოლის დირექტორმა ვანო კილტავამ მიულოცეს.

_ ვიმედოვნებ, სამტრედიაში იზრდება მომავალი ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, იზრდება თაობა, კიდევ, უფრო რომ უნდა ასახელონ სამტრედია, ჭადრაკის სამყარო, წარმატებებს გილოცავთ! _ მიესალმა სპორტსმენებს მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია და მადლობა უთხრა სპორტული სკოლის მწვრთნელ-პედაგოგებს გაწეული შრომისათვის.

ნორჩ მოჭადრაკეთა წარმატებების გამო აღფრთოვანება არც ბატონ კობა ძიძიგურს დაუფარავას და მხურვალედ, გულწრფელად მიულოცა "თერჯოლა 2016"-ში გამარჯვება სპორტსმენებს.

გულწრფელი მადლობა მორალური და ფინანსური მხარდაჭერისთვის, მომავალი წარმატებებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა იყო გაცხადებული მწვრთნელების ნინო ჯვარშეიშვილისა და ბესო ლეჟავას გამოსვლებში.

შესაბამისი თასები და სიგელები გადასცეს მუნიციპალიტეტის თავკაცებმა გამარჯვებულებს.

ლევან გაბეჩავა

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა